ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქედის მუნიციპალიტეტის მერია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის

შიდა აუდიტის სამსახურის

2019 წლის ანგარიში

დაბა ქედა

2020 წელი

1. შესავალი

წლიური ანგარიშის შედგენის საფუძველია „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის №29 დადგენილებით დამტკიცებული „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება“.

2. მოკლე მიმოხილვა

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს კონსტიტუციის“, „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 ნოემბრის №29 დადგენილებთ დამტკიცებული „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით“ და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. შიდა აუდიტი საქმიანობის განხორციელების პროცესში აგრეთვე ხელმძღვანელობდა შემდეგი სამართლებრივი აქტებით: საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1013 განკარგულებით დამტკიცებული „შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპებით“, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის №593 განკარგულებით დამტკიცებული „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიით“, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1015 განკარგულებით დამტკიცებული „შიდა აუდიტის სტანდარტებით“, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 ივლისის №1016 განკარგულებით დამტკიცებული „შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსით“.

3. განხორციელებული ღონისძიებები

შიდა აუდიტის სამსახურმა 2019 წელს განახორციელა შემდეგი შიდა აუდიტორული შემოწმებები:

- ქედის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯების აუდიტი.
- ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამების აუდიტი.
- ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წელს დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვების მიმდინარეობის აუდიტი.
- შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს შიდა აუდიტორული ანგარიში.
- ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამების მონიტორინგი.
- ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების ბაზის განსაზღვრისა და მოსაკრებლის ამოღების მიმდინარეობის აუდიტი.
- შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს შიდა აუდიტორული ანგარიში.

შიდა აუდიტის მიერ ყველა ზემოთ დასახელებულ ობიექტზე გაკეთდა დასკვნები და რეკომენდაციები. შიდა აუდიტის შედეგების განხილვა ხდებოდა მუნიციპალიტეტის მერთან და შესაბამისად რეკომენდაციები იგზავნებოდა თითეულ შემსრულებლამდე. აუდიტის სამსახურს გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე დაწესებული აქვს კონტროლი.

3.1. საშტატო ერთეულის ანალიზი

შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების პროცესში ჩართული იყო შიდა აუდიტის სამსახური, კერძოდ, პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3.2. დაუგეგმავი დავალებებისა და სხვა საკითხების ანალიზი

საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტის სამსახურს 2019 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის დავალების შესაბამისად შესწავლილი აქვს სხვადასხვა სახის საკითხები და მათზე გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა მერიის და მასში შემავალი ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებს, მერიის მიზნობრივ პროგრამებთან (ქვეპროგრამებთან) დაკავშირებულ საკითხების სისტემურ, კომპლექსურ შესწავლისა და რისკის მართვის, მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას და სხვა მიმდინარე საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შიდა აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებას, გასულ 2018 წელს ჩვენს მიერ რეკომენდაცია იქნა გაცემული ქონების მართვისა და განკარგვის საქმეში არსებულ მდგომარეობაზე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოვხატეთ ჩვენი მოსაზრება, რომ სრულყოფილად არ იყო ჩატარებული ინვენტარიზაციის კომისიის მიერ საინვენტარიზაციო აღწერილობა, ასევე დასადგენი იყო შენობა - ნაგებობების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები, რომელზედაც განთავსებული შენობა ნაგებობები დასარეგისტრირებელი იყო საჯარო რეესტრში, აღნიშნული საქმის მოწესრიგებისათვის ბიუჯეტიდან გამოიყო 35 ათასი ლარი, გამოცხადდა ტენდერი მუნიციპალიტეტში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების აღწერა შეფასებისა და კომპიუტერული პროგრამით აქტივების აღრიცხვისა და მართვის უზრუნველყოფისთვის, ტენდერში გაიმარჯვა 16400 ლარად შპს „აუდიტორული ფირმა ლაზიკა აუდიტმა“ რომელსაც უნდა შეესრულებინა აღნიშნული საქმე და საბოლოოდ უნდა დასრულებულიყო ქონების აღრიცხვიანობის საქმე, ამასთან ფირმის ხელმძღვანელობამ შეგვპირდა, რომ უნდა მოემზადებინა ერთი პიროვნება კომპიუტერული უზრუნველყოფისათვის, სამუშაოები დასრულდა, მაგრამ ამჟამად მაინც ქონების აღრიცხვა შეფასებაში არის ხარვეზები, თუნდაც იქედან გამომდინარე რომ დოლოგნის, დაბა ქედის №2, ვაიოს, ახოს, ნამლისევის, ოქტომბრის ბაგა-ბაღების შენობა ნაგებობები და მათზე დამაგრებული ნაკვეთები უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული არ არის ა.(ა.)ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანებაზე.

ასევე დასარეგისტრირებელია ხარაულა-ლაბაშვილების, მახუნცეთის (ხითხითა) გულები-ხუნკუდის წყალსადენები, ზეგარდას საფილტრე სადგური, ცხმორისის საკანალიზაციო სისტემა.

ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მცირეფასიანი ინვენტარისადა სხვა მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო კომისიის მიერ მერიის ბუღალტერიაში სრულყოფილი ფორმით წარდგენილი არ არის ინვენტარიზაციის მასალები, მაშინ როცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის №605 ბრძანებით „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ჩატარების წესის“ შესაბამისად ინვენტარიზაცია უნდა დასრულდეს საანგარიშო წლის ბოლოს.

4. შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის შედეგები

4.1 დაწესებულებისათვის გაწეული სარგებელი

შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის სარგებლიანობა აისახება მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობის, რისკის მართვისა და შიდა კონტროლის პროცესების ეფექტიანობის ამაღლების ხელშეწყობაში. შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირების თაობაზე გაცემული ობიექტური რწმუნებით დახმარება გაეწია მენეჯმენტს და თანამშრომლებს დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში, ასევე პროდუქტიულობის გაუმჯობესებაში.

შიდა აუდიტის სუბიექტი აქტიურად თანამშრომლობდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებთან.

4.2 კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახის სამუშაო შეხვედრებში, დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ გამართულ პრეზენტაციებზე, რომელთა ძირითადი მიზანი იყო ახალი მიმართულებების დანერგვა და დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა შოთა ბერიძემ და ამავე სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა თენგიზ თედორაძემ 2019 წლის 25 ნოემბრიდან 03 დეკემბრის ჩათვლით გაიარეს ტრენინგი „შიდა აუდიტი მუნიციპალიტეტებისათვის“, რომელიც ჩაატარა სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა და 2019 წლის 09 დეკემბერს მიიღეს სერთიფიკატები.

ასევე სამსახურის უფროსმა მიიღო მონაწილეობა 2019 წლის 13-14 ივნისს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის ორგანიზებითა და USAID/აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა საქართველოში/GGI მხარდაჭერით დაგეგმილ ტრენინგზე: „შიდა აუდიტის როლი თაღლითობისა და კორუფციის შეფასებაში, პრევენციისა და გამოვლენაში“.

5. წინადადებები შიდა აუდიტის სუბიექტის განვითარების შესახებ

შიდა აუდიტის განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია პერიოდულად სასწავლო ტრენინგების ჩატარება ეფექტიანობისა და სისტემურ აუდიტში.

შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსის მხრიდან ხორციელდება აუდიტის სუბიექტის საქმიანობის მუდმივი შეფასება. აღნიშნული შეფასება მოიცავს აუდიტის სუბიექტის დებულებასთან, სტანდარტებთან და შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსთან შესაბამისობას, ასევე შიდა აუდიტის საქმიანობის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

წარმოგიდგენთ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის ბიუჯეტის პარამეტრებით გათვალისწინებულ სახსრებით დაფინანსებულ ღონისძიებების შესრულების მონიტორინგს, შიდა აუდიტის ობიექტების მიერ სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფო სხვა მატერიალური ფასეულობების, სახელმწიფოს ქონებრივი ღირებულებების, არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და დაცვის კანონიერებისა და მიზნობრიობის შიდა აუდიტორულ ანგარიშს. კერძოდ:

1) ქედის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯების აუდიტი.

ქედის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით წამომადგენლობითი ხარჯი, მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ბიუჯეტით დამტკიცებული იყო 6500 ლარი, საკრებულოსათვის კი 4500 ლარი, საიდანაც ათვისებამ შესაბამისად შეადგინა 5810 ლარი და 3995 ლარი, ხოლო 2016 წლის ბიუჯეტით წარმომადგენლობითი ხარჯი გამგეობისათვის გათვალისწინებული იყო 5700 ლარი, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის 4500 ლარი, საიდანაც ათვისებამ შეადგინა შესაბამისად 5686 ლარი და 4497 ლარი, 2017 წელს ბიუჯეტით წამომადგენლობითი ხარჯი მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის გამოყოფილი იყო 11000 ლარი, საკრებულოსათვის კი 8000 ლარი, საიდანაც ათვისებამ შესაბამისად 9223 ლარი და 7868 ლარი შეადგინა, 2018 წელს ბიუჯეტით წამომადგენლობითი ხარჯი მუნიციპალიტეტის მერიისათვის შეადგენდა 14750 ლარს, საკრებულოსათვის კი 2900 ლარს, საიდანაც ათვისებამ შესაბამისად შეადგინა 14717 ლარი და 2404 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და შემდეგ მერიის მიერ 2015-2018 წლებში წარმომადგენლობითი მომსახურეობისათვის გაფორმდა ხელშეკრულებები სხვადასხვა იურიდიულ და კერძო მეწარმეებთან გამარტივებული შესყიდვით, კერძოდ: ი/მ მზია ნაკაშიძესთან, ი/მ ნოდარ სანიკიძესთან, ი/მ თამილა თურმანიძესთან, ი/მ რამაზ გოგიტიძესთან, ი/მ იაშა თედორაძესთან, ი/მ მზიანა ჯაბნიძესთან, შ.პ.ს. ქედის ღვინის ქარხანასთან, ი/მ მალხაზ სამნიძესთან, ი/მ ალექსანდრე შერვაშიძესთან, ი/მ ლია დევაძესთან და სხვასთან სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებისათვის საჭირო პროდუქტებისა და სტუმრების გამასპინძლებისათვის.

მონიტორინგით დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული ხარჯების გაწევასთან დაკავშირებით, მიმწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ხშირად მითითებული არ არის რა სახის მომსახურებას მოიცავს სტუმრების მიღება და გამასპინძლება. მიღება-ჩაბარების აქტის შემოწმებით დადგინდა რომ მიმწოდებელთან ანგარიშწორების ეტაპზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია მხოლოდ სტუმართა საერთო რაოდენობა (მაგ: 15 კაცი, 25 კაცი, 40 კაცი) და არ არის იდენტიფიცირებული მოწვეული სტუმრები და ღონისძიება. აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე მაინც განხორციელდა ბიუჯეტიდან

წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევა. მაშინ, როცა შეიძლებოდა აღნიშნული მომენტისათვის მომხდარიყო სტუმართა იდენტიფიცირება.

2015-2018 წლებში მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მერიის მიერ წარმომადგენლობით ხარჯებზე ჩარიცხული თანხების რეესტრი.

შემსყიდველი	მომწოდებლის დასახელება	ხელშეკრულება №	თანხის ჩარიცხვის თარიღი	თანხის ოდენობა (ლარი)	ჯამი (ლარი)
გამგეობა	ი/მ იაშა თედორაძე	11	09.03.2015	1105,8	5809,95
გამგეობა	ი/მ იაშა თედორაძე	11	24.03.2015	227,5	
გამგეობა	ი/მ თამილა თურმანიძე	38	13.05.2015	189,4	
გამგეობა	ი/მ რამაზ გოგიტიძე	55	23.06.2015	857	
გამგეობა	ი/მ იაშა თედორაძე	11	10.07.2015	166,7	
გამგეობა	ი/მ იაშა თედორაძე	83	31.07.2015	400	
გამგეობა	ი/მ თამილა თურმანიძე	38	07.08.2015	143,5	
გამგეობა	ი/მ თამილა თურმანიძე	38	15.10.2015	128,25	
გამგეობა	ი/მ მალხაზ სამნიძე	126	16.10.2015	945	
გამგეობა	ი/მ მალხაზ სამნიძე	126	16.12.2015	1025	
გამგეობა	ი/მ მალხაზ გოგიტიძე	153	05.11.2015	500	
გამგეობა	ი/მ თამილა თურმანიძე	38	22.12.2015	121,8	
გამგეობა	ი/მ თამილა თურმანიძე	21	22.03.2016	116,9	5685,9
გამგეობა	ი/მ ნოდარ სამნიძე	48	29.03.2016	420	
გამგეობა	ი/მ რამაზ გოგიტიძე	47	05.04.2016	350	
გამგეობა	ი/მ იაშა თედორაძე	56	06.05.2016	500	
გამგეობა	ი/მ მზიანა ჯაბნიძე	57	13.05.2016	300	
გამგეობა	ი/მ იაშა თედორაძე	56	25.05.2016	500	
გამგეობა	ი/მ თამილა თურმანიძე	21	31.05.2016	73,45	
გამგეობა	ი/მ იაშა თედორაძე	56	23.06.2016	650	
გამგეობა	ი/მ თამილა თურმანიძე	21	12.07.2016	146,55	
გამგეობა	ი/მ იაშა თედორაძე	56	20.07.2016	490	
გამგეობა	შ.პ.ს. ქედის ღვინის ქარხანა	160	05.09.2016	980	
გამგეობა	ი/მ ლია დევაძე	118	26.09.2016	500	
გამგეობა	ი/მ თამილა თურმანიძე	21	28.12.2016	659	
გამგეობა	ი/მ იაშა თედორაძე	61	20.02.2017	450	9223

გამგეობა	ი/მ იაშა თედორაძე	61	20.02.2017	550	
გამგეობა	ი/მ ლია დევაძე	45	06.03.2017	432	
გამგეობა	ი/მ მალხაზ სამნიძე	153	19.07.2017	600	
გამგეობა	ი/მ მალხაზ სამნიძე	153	19.07.2017	400	
გამგეობა	ი/მ ლია დევაძე	162	27.07.2017	440	
გამგეობა	ი/მ იაშა თედორაძე	166	03.08.2017	720	
გამგეობა	ი/მ იაშა თედორაძე	166	03.08.2017	580	
გამგეობა	ი/მ იაშა თედორაძე	198	08.09.2017	600	
გამგეობა	ი/მ იაშა თედორაძე	198	08.09.2017	700	
გამგეობა	ი.მ მალხაზ სამნიძე	196	05.10.2017	600	
გამგეობა	ი.მ თამილა თურმანიძე	47	17.10.2017	953	
გამგეობა	ი/მ თამილა თურმანიძე	47	24.10.2017	47	
გამგეობა	შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა	216	13.11.2017	1295	
გამგეობა	შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა	216	13.11.2017	856	
მერია	ი/მ მზიანა ჯაბნიძე	11	06.02.2018	694	14716,9
მერია	შპს შპს კახური ტრადიციული მეღვიენეობა-აგრო-ჩოხატაური	16	07.02.2018	145	
მერია	შპს შპს ქედის ღვინის ქარხანა	10	07.02.2018	300.3	
მერია	ამხანაგობა ამხანაგობა ქედა	30	22.02.2018	520	
მერია	ი/მ იაშა თედორაძე	67	29.03.2018	1710	
მერია	შპს შპს ქედის ღვინის ქარხანა	72	04.04.2018	800	
მერია	ი/მ ლეო ბოლქვაძე	6	04.04.2018	320,45	
მერია	ი/მ მზიანა ჯაბნიძე	71	05.04.2018	270	
მერია	ი/მ ზაურ შავიშვილი	93	18.04.2018	2000	
მერია	შპს პოლიგრაფ სერვისი	64	26.04.2018	1500	
მერია	ი/მ ლეო ბოლქვაძე	6	18.05.2018	260,8	
მერია	ი/მ ლეო ბოლქვაძე	6	15.06.2018	252,9	
მერია	ი/მ ლეო ბოლქვაძე	6	20.06.2018	124	
მერია	ი/მ მალხაზ სამნიძე	143	25.07.2018	1090	
მერია	ი/მ იაშა თედორაძე	144	26.07.2018	690	
მერია	ი/მ მალხაზ სამნიძე	190	03.10.2018	1500	
მერია	ი/მ ლეო ბოლქვაძე	6	18.10.2018	356,1	
მერია	ი/მ ლეო ბოლქვაძე	6	01.11.2018	196,5	
მერია	ი/მ ალექსანდრე შერვაშიძე	236	30.11.2018	1500	
მერია	ი/მ ლეო ბოლქვაძე	6	07.12.2018	337,25	
მერია	ი/მ ლეო ბოლქვაძე	6	25.12.2018	149,1	

2017 წლის 19 სექტემბერს ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დადებული იქნა №216 ხელშეკრულება შ.პ.ს. „კახური ტრადიციული მეღვინეობა“-სთან წარმომადგენლობითი ხარჯებიდან ღვინომასალის შესყიდვაზე სულ 2151 ლარზე, როლითაც გათვალისწინებული იყო ორი დასახელების ღვინის შესყიდვა 1) ღვინომასალა ცოლიკაური 230 ლიტრა *4,5 ლარი=1035 ლარი. 2) ჩხავერი ვარდისფერი 180 ლიტრა*6,2 ლარი =1116 ლარი. მომწოდებელმა აღნიშნული ოდენობის საქონელი

შემსყიდველს მოაწოდა 2017 წლის 2 ოქტომბერს, რაზეც შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტი. აღნიშნული რაოდენობის ღვინო მასალა, როგორც საფინანსო სამსახურის ბუღალტერმა განმარტა გამოყენებული იქნა ტრადიციულ დღესასწაულ „შემოდგომა ქედაში“ მობრძანებული სტუმრების გამასპინძლებისათვის.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015-2018 წლებში წარმომადგენლობითი მომსახურეობის მისაღებად დადებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა იურიდიულ და კერძო მეწარმეებთან, რომელიც მოცემულია ცხრილის სახით:

2015-2018 წლებში საკრებულოს მიერ წარმომადგენლობით ხარჯებზე ჩარიცხული თანხების რეესტრი.

შემსყიდველი	მომწოდებლის დასახელება	ხელშეკრულება №	თანხის ჩარიცხვის თარიღი	თანხის ოდენობა (ლარი)	ჯამი (ლარი)
საკრებულო	ი/მ თამილა თურმანიძე	18	06.05.2015	349,5	
საკრებულო	ი/მ თამილა თურმანიძე	18	23.06.2015	438,6	
საკრებულო	ი/მ რამაზ გოგიტიძე	55	23.06.2015	530	
საკრებულო	ი/მ თამილა თურმანიძე	18	14.08.2015	387	
საკრებულო	ი/მ თამილა თურმანიძე	18	17.09.2015	584	3994,5
საკრებულო	ი/მ თამილა თურმანიძე	18	03.11.2015	240,9	
საკრებულო	ი/მ თამილა თურმანიძე	175	24.12.2015	503	
საკრებულო	ი/მ თამილა თურმანიძე	175	28.12.2015	417	
საკრებულო	"შ.პ.ს. ჭადრები 2008'"	179	28.12.2015	544,5	
საკრებულო	ი/მ მზია ნაკაშიძე	3	16.02.2016	293	
საკრებულო	ი/მ მზია ნაკაშიძე	3	14.03.2016	310,4	
საკრებულო	ი/მ მზია ნაკაშიძე	3	18.04.2016	303,8	
საკრებულო	ი/მ მზია ნაკაშიძე	3	19.05.2016	350,6	
საკრებულო	ი/მ მზია ნაკაშიძე	3	24.06.2016	380,6	
საკრებულო	ი/მ მზია ნაკაშიძე	3	21.07.2016	360,2	
საკრებულო	ი/მ მზია ნაკაშიძე	129	11.08.2016	380,8	4497,2
საკრებულო	ი/მ ნოდარ სამნიძე	152	12.09.2016	500	
საკრებულო	ი/მ მზია ნაკაშიძე	129	14.09.2016	375	
საკრებულო	ი/მ მზია ნაკაშიძე	129	26.10.2016	378,8	
საკრებულო	ი/მ მზია ნაკაშიძე	129	18.11.2016	379,9	
საკრებულო	ი/მ მზია ნაკაშიძე	129	09.12.2016	376,5	
საკრებულო	ი/მ მზია ნაკაშიძე	129	29.12.2016	107,6	

საკრებულო	ი/მ მზიანა ნაკაშიძე	46	23.03.2017	398,60	
საკრებულო	ი/მ მზიანა ნაკაშიძე	46	10.04.2017	392.4	
საკრებულო	ი/მ იაშა თედორაძე	105	27.04.2017	388	
საკრებულო	ი/მ იაშა თედორაძე	105	27.04.2017	412	
საკრებულო	ი/მ მზიანა ნაკაშიძე	46	11.05.2017	405.8	
საკრებულო	ი/მ მზიანა ნაკაშიძე	46	08.06.2017	414.8	
საკრებულო	ი/მ იაშა თედორაძე	152	17.07.2017	435	
საკრებულო	ი/მ იაშა თედორაძე	152	17.07.2017	400	
საკრებულო	ი/მ მზიანა ნაკაშიძე	46	17.07.2017	386.9	7867,9
საკრებულო	ი/მ მზიანა ნაკაშიძე	167	07.08.2017	394	
საკრებულო	ი/მ მალხაზ სამნიძე	197	07.09.2017	995	
საკრებულო	ი/მ მალხაზ სამნიძე	197	08.09.2017	1005	
საკრებულო	ი/მ მზიანა ნაკაშიძე	167	08.09.2017	396.2	
საკრებულო	ი/მ მზიანა ნაკაშიძე	167	27.10.2017	399.8	
საკრებულო	ი/მ მზიანა ნაკაშიძე	167	10.11.2017	397	
საკრებულო	ი/მ მზიანა ნაკაშიძე	167	26.12.2017	412.4	
საკრებულო	შპს შპს გიო020	261	28.12.2017	235	
საკრებულო	ამხანაგობა ქედა	30	22.02.2018	440	
საკრებულო	ი/მ მზიანა ნაკაშიძე	26	12.03.2018	258	2404
საკრებულო	ი/მ მზიანა ნაკაშიძე	26	04.04.2018	95	
საკრებულო	ი/მ იაშა თედორაძე	102	04.05.2018	525	
საკრებულო	ი/მ მზიანა ნაკაშიძე	26	09.08.2018	239	
საკრებულო	ი.მ მალხაზ სამნიძე	182	10.09.2018	305	
საკრებულო	ი/მ იაშა თედორაძე	233	02.11.2018	245	
საკრებულო	ი/მ მზიანა ნაკაშიძე	26	27.12.2018	297	

უნდა აღინიშნოს, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის განმავლობაში წარმომადგენლობითი ხარჯებიდან სტუმრების მიღება გამასპინძლებაზე დახარჯული აქვს მხოლოდ 500 ლარი, სხვა შემთხვევაში ხარჯები გაწეულია ტკბილეულობის შესაძენად, 2017 წელს კი ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სტუმრების მიღება გამასპინძლებაზე დაიხარჯა 4675,6 ლარი, ხოლო ტკბილეულობისა და სხვა პროდუქტების შესაძენად 3192,3 ლარი.

მიმწოდებელთან ანგარიშწორების ეტაპზე წარმოდგენილ დოკუმენტაციებში მითითებული არ არის სტუმართა იდენტიფიცირება, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტებში ნაჩვენებია სტუმართა რაოდენობა.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურმა მუნიციპალიტეტში სტუმრების მიღებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარების შემდეგ არ მოახდინოს მომწოდებლებზე თანხების ანაზღაურება, თუ მიღება-ჩაბარების აქტებზე თანდართული არ იქნება სტუმრების იდენტიფიცირება.

2. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამების აუდიტი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №32 დადგენილებით განსაზღვრულია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დებულება, რომლის შესაბამისადაც სამსახური შედგება სამსახურის უფროსისა და მეორადი სტრუქტურული ქვედანაყოფების განყოფილებებისაგან, კერძოდ:

ა) განათლების, კულტურის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება.

ბ) სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №86 განკარგულებით დამტკიცდა, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამები, კერძოდ:

1) 2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა.
2) 2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა.
3) 2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა.
4) 2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბ ბეთლემი“-ს მხარდამჭერი ღონისძიებების ფინასური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა.

2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა

2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა შედგებოდა 32 ღონისძიებისაგან, რომლის ღირებულების სრული ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 47000 ლარით. 2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის განხორციელებისათვის ქედის საკრებულოს მიერ სხვადასხვა დროს განხორციელდა პროგრამაში ცვლილებები, რაც მოცემულია დანართი №1-ით.

დანართი №1

2018 წელს ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა									
	სკრებულოს განკარგულებების თარიღი	29/12/17წ.	26/01/18წ.	13/02/18წ.	30/03/18წ.	25/05/18წ.	29/06/18წ.	28/09/18წ.	25/12/18წ.
№	სკრებულოს განკარგულებების ნომერი	86	3	11	24	49	60	91	102
	სპორტული ღონისძიებების დასახელება	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)
1	გაუთვალისწინებელი ღონისძიებები	1320	1200	1200	1200	2300	2300	1645	1645
2	2018 წლის წარმატებული სპორტცმენთა და მწვრთნელთა წახალისების ფონდი	5500	5500	5500	5500	5500	0	0	10738
	მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ღონისძიებები								
3	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები	2200	2480	2480	2173	2173	2173	2173	2173
4	ფრემბურთი. ავთანდილ ბერიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი	2100	2100	1700	1700	0	0	0	0
5	თავისუფალი ჭიდაობა. გურამ ჯიჯავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი	2000	2000	0	0	0	0	0	0
6	ფეხბურთი არჩილ ფარტენაძის სახელობის ტურნირი	1700	1700	0	0	1468	1468	1468	1468
7	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა "სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში2018-ი"(მუნიციპალური, რეგიონალურ და ზონალურ ტურნირში, ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა)	4000	4000	4000	5260	4885	4885	4970	4970
8	"ახალგაზრდული ფესტივალი 2018" სპორტი ბარიერების გარეშე მუნიციპალური ჩემპიონატის და რეგიონალურ ტურნირში მონაწილეობა)	800	800	800	0	0	0	0	0
	თავისუფალი ჭიდაობა								
9	თავისუფალი ჭიდაობა . ქოლგიანი დელფინი	1600	1600	1600	550	467	467	467	467

10	თავისუფალი ჭიდაობა. კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი	1600	1600	1600	550	467	467	467	467
11	თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს პირველობა	1740	1740	1740	1523	1523	1523	1523	1523
12	ლ. ხაბელოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა შორის	0	0	0	0	1950	1950	1950	1694
13	გ. ხინჩეგაშვილის სახელობის ტურნირი	0	0	0	2000	0	0	0	0
14	თავისუფალი ჭიდაობა. გურამ ჩელებაძის სახელობის ტურნირი	1500	1500	1500	0	0	0	0	0
15	თავისუფალი ჭიდაობა, როსტომ მელაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი	1300	1300	1300	550	467	467	467	467
16	დ. კვინიკაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი	0	0	0	1850	1568	1568	1568	1568
17	შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი	0	0	0	1897	1608	1608	1608	1608
	ჭადრაკი								
18	ჭადრაკი აჭარის პირველობა (10,14,20) წლამდე ასაკი	2000	2000	2000	1847	1847	1847	1847	1847
19	ჭადრაკი აჭარის პირველობა (10,14,16) წლამდე ასაკი	2000	2000	2000	1847	1847	1847	1847	1847
20	ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი "ბათუმი-2018"	1700	1700	1700	1570	1570	1570	1570	1570
21	ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი "შავი ზღვის დელფინი"2018	1700	1700	1700	1570	1570	1570	1570	1570
	კიკბოქსინგი								
22	ქედის კიკბოქსიორთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში	1100	1100	1100	1100	0	0	0	0
	კალათბურთი								
23	ქედის კალათბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში	800	800	800	800	800	800	800	0
	ფრენბურთი								
24	ქედის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებები	800	800	800	800	800	800	800	290
	მაგიდის ჩოგბურთი								
25	მაგიდის ჩოგბურთი, აჭარის ჩემპიონატი	610	1850	1850	1623	1623	1623	1623	1623
26	მაგიდის ჩოგბურთი, ამხანაგური შეხვედრა ქ. ბათუმი სასპორტო სკოლის გუნდთან	260	260	260	260	221	221	221	221
27	მაგიდის ჩოგბურთი, ამხანაგური შეხვედრა ხულოს სასპორტო სკოლის გუნდთან	260	260	260	260	260	260	260	0
28	თორნიკე ღოღობერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი	1700	1700	1700	954	954	954	954	954
29	აბაშის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთი.	1300	1300	1300	1300	1300	1300	1162	1162
30	ამბროლაურის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში	1400		0	0	0	1550	1382	1382
	ქართული ჭიდაობა								

31	ქართული ჭიდაობა. აჭარის პირველობა 2001-2003 წწ. დაბადებულ სპორცმენებს შორის.	250	250	250	230	230	230	230	230
32	ქართული ჭიდაობა. აჭარის პირველობა 2004-2005 წწ. დაბადებულ სპორცმენებს შორის.	250	250	250	230	230	230	230	230
33	ქართული ჭიდაობა. ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირი	250	250	250	250	212	212	212	212
34	ქართული ჭიდაობა.დავით მამულაძის ხსოვნის ტურნირი	250	250	250	250	250	250	250	0
35	ვასილ გაროზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი	494	494	494	494	494	494	494	0
36	შუახევის მუნიციპალიტეტიდან აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის ტურნირი	0	0	0	246	0	0	0	0
37	ნოშრევან დავითაძისა და ზოიძის სახელობათა ტურნირი	0	0	0	0	250	250	218	218
	ფეხბურთი								
38	ფეხბურთი ა.(ა)ი.პ. ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში	2516	2516	2516	2516	3466	3466	4809	2493
39	აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის	0	0	0	0	0	1550	1450	1450
40	„მოყვარულთა თასი 2018“-ის გათამაშებაში ქედის მუნიციპალიტეტის გუნდის მონაწილეობა	0	0	0	0	0	2400	2065	2065
	ჯამი	47000	47000	42900	42900	42300	42300	42300	48152

ცვლილებებით ჩანს, რომ 2018 წლის განმავლობაში ზოგიერთი სპორტული ღონისძიება არ ჩატარდა, კერძოდ:

1) „ახალგაზრდული ფესტივალი 2018“, სპორტი ბარიერების გარეშე მუნიციპალური ჩემპიონატისა და რეგიონალურ ტურნირში მონაწილეობა, ღირებულებით 800 ლარი.
2) ქედის კალათბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში, ღირებულებით 800 ლარი.
3) მაგიდის ჩოგბურთში ამხანაგური შეხვედრა ხულოს სასპორტო სკოლის გუნდთან, ღირებულებით 260 ლარი.
4) ქართული ჭიდაობა, დავით მამულაძის ხსოვნის ტურნირი, ღირებულებით 250 ლარი.
5) ვასილ გაროზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი, ღირებულებით 494 ლარი.
6) შუახევის მუნიციპალიტეტიდან აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის ტურნირი, ღირებულებით 246 ლარი.

ღონისძიების ჩაუტარებლობითა და სხვადასხვა ღონისძიებებში დარჩენილი ეკონომია გამოყენებულ იქნა შემდეგი ღონისძიებების ჩასატარებლად, კერძოდ:

1) თავისუფალ ჭიდაობაში ლ. ხაბელოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა შორის.
2) დ. კვინიკაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი.
3) შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი.
4) ქართულ ჭიდაობაში, ნოშრევან დავითაძისა და ზოიძის სახელობის ტურნირი.
5) აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის.
6) „მოყვარულთა თასი 2018“-ის გათამაშებაში ქედის მუნიციპალიტეტის გუნდის მონაწილეობა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ა.(ა.)ი.პ. ქედის სასპორტო სკოლისათვის გამოეყო თანხა ადგილობრივი ღონისძიებების ჩასატარებლად, თანხის მოძიება მოხდა პროგრამებში შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზებისათვის განკუთვნილი თანხის გადატანით, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 თებერვლის №11 დადგენილებით, კერძოდ: ა.(ა.)ი.პ. ქედის სასპორტო სკოლას გადაეცა, 1) ფრენბურთი, ავთანდილ ბერიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირის ღონისძიების ორგანიზებისათვის 2100 ლარი, 2) თავისუფალი ჭიდაობა, გურამ ჯიჯავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის ორგანიზებისათვის 2000 ლარი. 3) ქედის კიგბოქსიორთა ნაკრები გუნდის სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად 600 ლარი.

აღნიშნული ღონისძიებების შესრულების მიზნობრიობის მონიტორინგი განხორციელდება ა.(ა.)ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლი“-ს შემოწმების დროს.

2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩასატარებლად სულ ელექტრონული ტენდერის გზით დადებული იქნა 6 ხელშეკრულება. თითოეულ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში კონკურენცია სხვადასხვა შემსყიდველებს შორის არ ყოფილა. ორ შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმდა შ.პ.ს. „ზენდიდი 2015“-თან, ხოლო ოთხ შემთხვევაში შ.პ.ს. „ჯიჯი 13“-თან. 2018 წელს დადებული ხელშეკრულებების შესახებ მონაცემები იხილეთ დანართი №2-ით.

მონიტორინგიდან ჩანს, რომ ხელშეკრულებები გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების კანონის სრული დაცვით, ხელშეკრულებების შესაბამისად დაგეგმილი ღონისძიებები ჩატარდა თავის დროზე და მომწოდებელებთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე ბიუჯეტიდან ჩარიცხული იქნა შესაბამისი თანხები.

2018 წლის 30 იანვარს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ შ.პ.ს. „ზენდიდი 2015“-თან გაფორმდა №18 ხელშეკრულება სპორტულ ღონისძიებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვაზე, რომელიც მოიცავდა 7 ღონისძიებას ღირებულებით 8330 ლარი. №18 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა უზრუნველყო „ჭადრაკი აჭარის პირველობა“-ში ა.ა.ი.პ. „ქედის სასპორტო სკოლი“-ს ჭადრაკის ნაკრები გუნდის მონაწილეობა. მომწოდებელმა გუნდის მონაწილეობისათვის 2018 წლის 26 იანვარს ხელშეკრულების გაფორმებამდე ოთხი დღით ადრე წინასწარ გადაიხადა საწევრო შენატანი, რაც რისკის შემცველია.

2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა.

2018 წელს ქედის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა მოიცავდა 14 ღონისძიებას 18000 ლარის ღირებულებით. პროგრამაში წლის განმავლობაში 3-ჯერ განხორციელდა ცვლილება.

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები მოცემულია დანართი №3-ით.

დანართი №3

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის ახალგაზრდული ღონისძიებები					
№	საკრებულოს განკარგულების მიღების თარიღი	29/12/17	26/01/2018	30/03/18	25/12/18
	საკრებულოს განკარგულების ნომერი	86	3	24	102
	ღონისძიების დასახელება	თანხა	თანხა	თანხა	თანხა
1	გაუთვალისწინებელი ღონისძიებები.	1000	600	600	600
2	მუნიციპალიტეტის პირველობა მხიარულთა და საზრიანთა გუნდებს შორის.	3000	3000	3000	0
3	ლაშქრობის მოწყობა სხვადასხვა ადგილებში.	1000	1000	1000	745
4	აჭარის ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის?	400	400	400	335
5	შეიცანი საქართველო.	2000	2000	1900	1236
6	,,ინტელექტის დღე-2018".	1300	1300	1300	1242
7	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდებისა და სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები.	0	0	3000	3000
8	მხიარულ რეგიონში ქედის მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა.	300	700	0	0
9	თავისუფალი პროექტების დაფინანსება.	1500	1500	1500	1230

10	მუსიკალური კონკურსი ,,ქედის ხმა 2018".	2200	2200	0	0
11	ტრეინინგ-სემინარი ახალგაზრდებისათვის, (არაფორმალური განათლება).	600	600	600	297
12	კითხვის კონკურსი ინგლისურ ენაში.	1500	1500	1500	1242
13	პაემანი პოეზიასთან.	1500	1500	1500	780
14	ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა.	1700	1700	1700	1441
		18000	18000	18000	12148

ცვლილებებიდან ჩანს, რომ 14 ღონისძიებიდან არ ჩატარდა სამი ღონისძიება, კერძოდ:

1) 2018 წელს დაგეგმილი იყო „მუნიციპალიტეტის პირველობა მხიარულთა და საზრიანთა გუნდებს შორის", რომლის ჩატარების ოგანიზება ვერ მოხერხდა, რადგან აღნიშნული მიმართულებით ღონისძიების ჩატარების ექსკლუზიური უფლებამოსილება აღებული აქვს აჭარის მხიარულთა და საზრიანთა ფედერაციას, მუნიციპალიტეტის მიერ ღონისძიების ჩატარების შემთხვევაში ქედის მუნიციპალიტეტს დაეკისრებოდა საჯარიმო სანქციის გადახდა.

ასევე, არ ჩატარდა 2) „მხიარულ რეგიონში ქედის მხიარულთა და საზრიანთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა" და 3) მუსიკალური კონკურსი „ქედის ხმა 2018", აღნიშნული ღონისძიებები უნდა ჩატარებულიყო აჭარის ა/რ სპორტისა და ახალგაზრდულ დეპარტამენტის მიერ.

ახალგაზრდული ღონისძიებების ჩასატარებლად დადებულ იქნა სულ სამი ხელშეკრულება, რაც მოცემულია დანართ №4-ში.

მონიტორინგით დადგინდა, რომ ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელდა თანხების ანაზღაურება.

2018 წელს ქედის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა

2018 წელს ქედის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა მოიცავდა 17 ღონისძიებას 65000 ლარის ღირებულებით. პროგრამაში წლის განმავლობაში 4-ჯერ განხორციელდა ცვლილება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით.

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები მოცემულია დანართი №5-ით.

დანართი №5

	ქედის მუნიციპალიტეტის სკრებულოს მიერ 2018 წელს მიღებული განკარგულებების თარიღი	29/12/17	13/02/18	13/05/19	8/6/2018	28/09/18
	სკრებულოს განკარგულებების ნომერი	86	11	49	55	91
№	კულტურული ღონისძიებების დასახელება	თანხა	თანხა	თანხა	თანხა	თანხა
1	გაუთვალისწინებელი ღონისძიებები	3151	3151	3151	3151	3040
2	დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	3000	3000	3000	3000	2541
3	9 აპრილი - საქართველოსდამოუკიდებლობის დღე	600	600	600	600	475
4	სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსაბლების ოლიმპიადა	2200	2200	2200	2200	1831
5	9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღე	600	600	600	600	490
6	26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე	2000	2000	2000	2000	1694
7	ფრიდონობა	2700	0	0	0	0
8	ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე	3260	3260	0	0	0
9	8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	169	169	169	169	121
10	სახალხო ზეიმი შემოდგომა ქედაში	7000	7000	7000	7000	10500
11	მასწავლებელთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	2320	2320	2320	2320	2320
12	საახალწლო -საშობაო ღონისძიებები	6000	6000	6000	6000	6000
13	ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა	8000	7400	7400	7400	10745
14	ტურიზმის და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშემწყობი ღონისძიებები	4800	4800	4800	4800	4800
15	ეტალონი	6500	6500	6500	6500	5855
16	მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლების, გუნდებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობა ადგილობრივ, საერთაშორისო სხვადასხვა ღონისძიებებში.	10000	10000	10000	10000	5350
17	ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო-თოფუზი“	2700	2700	2700	2700	2700
18	პროექტში „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“ - ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობა	0	0	0	6700	6678
		65000	61700	58440	65140	65140

ცვლილებებიდან ჩანს, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 თებერვლის №11 დადგენილებით ა.(ა.)ი.პ. ქედის კულტურის ცენტრს გადაეცა 1) დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზებისათვის 600 ლარი, 2) სახალხო დღესასწაული „ფრიდონობა“ ღონისძიების ორგანიზებისათვის 2700 ლარი, ხოლო ა.(ა.)ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლას გადაეცა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ოგანიზება ღირებილებით 3260 ლარი.

აღნიშნული ღონისძიებების შესრულების დეტალური შემოწმება მოხდება ა.(ა.)ი.პ. „ქედის კულტურის ცენტრი“-ს მონიტორინგის დროს.

2018 წელს ქედის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამების მომსახურების შესყიდვისათვის დადებულია სულ 13 ხელშეკრულება. ხელშეკრულებების დადებისა და მათი შესრულების მდგომარეობის შესახებ მონაცემები იხილეთ დანართ №6-ში

2018 წლის 20 დეკემბერს გაფორმდა №254 ხელშეკრულება ქედის მუნიციპალიტეტსა და ი.მ ზაურ შავიშვილს შორის კულტურული ღონისძიების ორგანიზებასთან დაკავშირებულ მომსახურების გაწევაზე, რომელიც შედგებოდა სამი ქვეღონისძიებისაგან, საერთო ღირებულებით 9498,5 ლარი. კერძოდ:

1) საახალწლო-საშობაო ღონისძიების ფარგლებში საბავშვო მუზიკლის „ფიფქია და სამი გოჭი“-ს მოწვევა და დადგმა 1210 ლარი.
2) საახალწლო-საშობაო ღონისძიების ფარგლებში ბავშვებისათვის სპექტაკლის „ზევით ყვავილებთან მინდა“ მოწვევა-დადგმა 1210 ლარზე.
3) საახალწლო საშობაო ღონისძიებისათვის საჭირო აქსესუარების შეძენა 7078,5 ლარი. რომელიც თავის მხრივ მოიცავდა შემდეგი აქსესუარების შეძენას, კერძოდ:

1. საახალწლო ფოიერკი (ფერად ფერადი შუშხუნები) 2 ცალი 800 ლარად.
2. საახალწლო ნაძვის ხესთან სურათის გადაღების სტენდი 300 ლარი.
3. საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში თოვლის ბაბუის მოწვევა ერთი დღით თავისი საახალწლო რეპერტუარის ფარგლებში 350 ლარი.
4. საახალწლო ნაძვის ხისთვის სათამაშოების შეძენა 6 შეკვრა 150 ლარად.
5. ნაძვის ხის ნათურის სიგრძე არანაკლებ 5მ ფერადი ნათებით 3 ცალი 150 ლარად.
6. ბენგალიური მაშხალა 100 შეკვრა 105 ლარად.
7. აღმაშენებლის და რუსთაველის ქუჩაზე არსებული მოაჯირების საახალწლო დეკორატიული განათების შეძენა 600 მეტრი 4080 ლარად.
8. სატრანსპორტო მომსახურება ღონისძიების ფარგლებში, ერთი დღით მუნიციპალიტეტის 10 ადმინისტრაციული ერთეულიდან 500 ლარად.
9. შესაძენი აქესუარების ღირებულების 10 პროცენტი გათვალისწინებული იყო მომწოდებლის მოგებისათვის, რაც შეადგენდა 643,5 ლარს.

ზემოთ დასახელებული ღონისძიებების განხორციელებისათვის ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსსა და ი.მ ზაურ შავიშვილს შორის თითოეულ მომსახურებაზე 2019 წლის 21 იანვარს შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის საფუძველზეც მომწოდებელს ანაზღაურებელი აქვს მომსახურება. ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წამოდგენას შემსყიდველისათვის, შესაბამისად ბუღალტერიაში და არც შესაბამის განყოფილებებში არ ინახება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საახალწლო საშობაო ღონისძიებისათვის საჭირო აქსესუარების შეძენის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტები.

აღნიშნული ნაკლოვანებისათვის წინა მონიტორინგის დროს სამსახურს მიცემული ქონდა რეკომენდაცია, რომ მცირეფასიანი ინვენტარი აღერიცხა და მის შენახვაზე გამოეყო მატერიალური პასუხისმგებელი პირი, თუმცა მიცემული რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს და ამჯერადაც მუშაობა გააგრძელეს ისე, რომ 7078,5 ლარით შეძენილი საქონელი არ არის აყვანილი ბალანსზე და დარჩენილი ინვენტარი არ არის ჩაბარებული პასუხისმგებელ პირზე.

ამავე განყოფილებას ტურიზმის მიმართულებით შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობები, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ ლაშქრობების მოწყობითა და ტურისტული რუკების ბეჭდვით, რაც არასაკმარისია ტურისტული სფეროს ხელშეწყობისათვის. ჩვენი აზრით საჭიროა უფრო აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა ტურისტულ სააგენტოებთან, გიდების დატრენინგება და სერთიფიცირება.

2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში შპს „საფეხბურთო კლუბ ბეთლემი“-ს მხარდამჭერი ღონისძიებების ფინასური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა.

2018 წლის 28 სექტემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №91 განკარგულების №4 დანართის შესაბამისად დამტკიცდა 2018 წლის განმავლობაში ქედის მუნიციპალიტეტში შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბ ბეთლემი“-ს მხარდამჭერი ღონისძიებების ფინასური უზრუნველყოფის მიზნობრივი ქვეპროგრამა. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 29300 ლარს, რომლიდანაც ჩარიცხულია საფეხბურთო კლუბ ბეთლემზე 29220 ლარი.

პროგრამის უშუალო შემსრულებელია შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“, აღნიშნული პროგრამის დეტალურად შესწავლა ჩვენს მიერ მოხდება შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი ბეთლემი“-ს მონიტორინგის განხორციელებისას.

ამასთან უნდა აღინისშნოს, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურს პროგრამის განხორციელებაზე ევალება

პასუხისმგებლობა, თუმცა ამ მხრივ სამსახურს არავითარი სამუშაოები არ ჩაუტარებია.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის მიერ ქედის მუნიციპალიტეტში არაა შემუშავებული და დამტკიცებული სპორტული, ახალგაზრდული და კულტურული ღონისძიებების მიზნობრივი პროგრამების სრულყოფილი ფორმა, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი პროგრამის განხორციელების აუცილებლობა, პროგრამის მიზნები, სამოქმედო გეგმა, გასაწევი ხარჯების დეტალური განწერა, მიზნის მიღწევის ინდიკატორები და ა. შ.

ჩასატარებელი სპორტული, ახალგაზრდული და კულტურული ღონისძიებები ორიენტირებული უნდა იყოს შედეგებზე და უნდა ხდებოდეს მიღწეული შედეგების შედარება გეგმასთან და ანალიზის საფუძველზე სამომავლო გეგმების დამტკიცება.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაცია:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურმა (ქალბატონმა ეკატერინე ქაჯაია-კომახიძემ):

- უზრუნველყოს დაგეგმილი ღონისძიებების სრულად და თავისდროულად შესრულება.
- განყოფილებებთან ერთად მუშაობა ისე წარმართოს, რომ საჭირო არ დარჩეს პროგრამებში ცვლილებების შეტანა.
- მიზნობრივი პროგრამების შედგენის დროს დეტალურად იყოს გაწერილი თითეული ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა, ღონისძიების მიზნები, გასაწევი ხარჯების დეტალური შესწავლა და მისი განწერა, მიზნის მიღწევის ინდიკატორები და ღონისძიება იყოს შედეგზე ორიენტირებული.
- ჩატარებულ სპორტულ, ახალგაზრდულ, კულტურულ ღონისძიებებზე შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტს დაერთოს შესრულებული მომსახურების და შესყიდული საქონლის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- მიმდინარე წლის 15 მაისამდე უზრუნველყოს მცირეფასიანი ინვენტარის აღრიცხვა და მისი შემდგომი დასაწყობებისათვის მოლაპარაკება აწარმოოს მერიის 100%-იანი წილის მქონე რომელიმე ა.(ა.)ი.პ.-თან ან შ.პ.ს.-ების ხელმძღვანელობასთან მისი შემდგომი შენახვისა და მატერიალური პასუხისმგებელი პირზე ჩასაბარებლად.
- მეტი ყურადღება დაუთმოს ტურიზმის სფეროს პოპულარიზაციას, ამისთვის ხელი შეუწყოს გიდების მომზადებასა და მათი სერთიფიცირების საქმეს.

დანართი №2

მონაცემები
2018 წელს ჩატარებული სპორტული ღონისძიებების თაობაზე

ხელშეკრულების ნომერი	ხელშეკრულების გაფორმების დრო	ხელშეკრულების ღირებულება (ლარი)		ღონისძიების დასახელება	ღონისძიების ჩატარების დრო	პროგრამით გათვალისწინებული თანხები	ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები	ფაქტიურად ჩარიცხული თანხები	ხელშეკრულებით ფაქტიურად ჩარიცხული თანხა	ხელშეკრულების მოქმედების ვადა	მომწოდებელის დასახელება
N18	30.01.2018	7595.03	1	თავისუფალი ჭიდაობა. გურამ ჩელებაძის სახელობის (10 მონაწილე, 2დღე) ტურნირი	არ ჩატარდა	1500	918.62	0	6628.41	31.12.2018	შპს ზენდიდი 2015
			2	ჭადრაკი აჭარის პირველობა (8,12,16, წლამდე ასაკი. ქედის სასპორტო სკოლა8 მონაწილე) ქ. ბათუმი (8 დღე)	16-23 თებერვალი	2000	1870.6	1846.6			
			3	ჭადრაკი აჭარის პირველობა (10,14,20, წლამდე ასაკი. ქედის სასპორტო სკოლა 8 მონაწილე)	01-09 თებერვალი	2000	1870.6	1846.6			
			4	თავისუფალი ჭიდაობა, საქართველოს პირველობა (7 მონაწილე, 3 დღე)	16-18 თებერვალი	1740	1522.02	1522.02			
			5	თორნიკე ღოღობერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში (ქ.თბილისი, 2 დღე).	18-19 მაისი	1700	953.09	953.19			
			6	ქართული ჭიდაობა. აჭარის პირადი პირველობა 2001-2003 წწ დაბადებულ სპორტსმენებს შორის ქ. ბათუმი (8 მონაწილე,ერთი დღე)	18 მარტი	250	230	230			
			7	ქართული ჭიდაობა. აჭარის პირადი პირველობა 2004-2005 წწ დაბადებულ სპორტსმენებს შორის ქ. ბათუმი (8 მონაწილე, ერთი დღე)	31 მარტი	250	230	230			
			1	ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „ბათუმი 2018"	21-28 ივლისი	1700	1569.43	1569.43			
			2	ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალი „შავი ზღვის დელფინი - 2018"	14-21 აგვისტო	1700	1569.43	1569.43			
			3	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2018"-ში (მუნიციპალური თამაში) მაგიდის ჩოგბურთი(ვაჟები, გოგონები	თებერვალი-აპრილი	4000 5260 4970	560	560			
			4	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2018"-ში (მუნიციპალური თამაში) ფრენბურთი (ვაჟები,გოგონები)	თებერვალი-აპრილი		932.79	932.79			
			5	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2018"-ში (მუნიციპალური თამაში) მინი ფეხბურთი (ვაჟები).	თებერვალი-აპრილი		525.91	525.91			

N47	26.02.2018	9853.43	6	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2018“-ში (მუნიციპალური თამაში) მხიარული სტარტები (მოძრავი თამაშები).	თებერვალი-აპრილი		901.24	901.24	9853.43	31.12.2018	შპს ჯიჯო 13
			7	მაგიდის ჩოგბურთი, აჭარის ჩემპიონატი.	25-26 თებერვალი	1850	1622.58	1622.58			
			8	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები (ჭადრაკი, 3 დღე).	მარტი-აპრილი	2480	359.55	359.55			
			9	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები(ფეხბურთი საბაზო საფეხურის სკოლებს შორის)	მარტი-აპრილი		328.93	328.93			
			10	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები(მაგიდის ჩოგბურთი, 2 დღე)	მარტი-აპრილი		328.48	328.48			
			11	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები (ფრენბურთი, 2 დღე).	მარტი-აპრილი		577.59	577.49			
			12	ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა სპორტული თამაშები (კალათბურთი, 2 დღე).	მარტი-აპრილი		577.6	577.6			
N94	18.04.2018	6289.71 6081.81	1	1 ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2018“-ში (რეგიონალური თამაში)	აპრილი-მაისი	4970	1076.25	829.68	5369.18	25.01.2019	შპს ზენდიდი 2015
			2	თავისუფალი ჭიდაობა, ქოლგიანი დელფინი	არ ჩატარებულა	1600	466.08	0			
			3	თავისუფალი ჭიდაობა, კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი	17-18 ივნისი	1600	466.08	466.06			
			4	თავისუფალი ჭიდაობა, როსტომ მელაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი	13-14 ოქტომბერი	1300	466.08	466.08			
			5	თავისუფალი ჭიდაობა, დ.კვინიკაძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი	01-02 დეკემბერი	1850	1567.58	1567.58			
			6	თავისუფალი ჭიდაობა, შოთა ლომიძის სახელობის ტურნირი	14-16 დეკემბერი	1897	1607.61	1607.61			
			7	მაგიდის ჩოგბურთი, ამხანაგური შეხვედრა ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის გუნდთან	01 ივნისი	260	220.32	220.32			
			8	8 ქართული ჭიდაობა, ვლადიმერ მახარაძის სახელობის ტურნირი	22 აპრილი	250	211.85	211.85			
			9	შუახევის მუნიციპალიტეტიდან აგვისტომ ომში დაღუპულთა ხსოვნის ტურნირი	არ ჩატარდა	250	207.9	0			
			1	ფეხბურთი, არჩილ ფარტენაძის სახელობის ტურნირი	15-26 მაისი	1700	1468	1467.99			
			2	ქედის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის ამხანაგური შეხვედრა ხელვაჩაურის ფრენბურთელთა ნაკრებ გუნდთან	27.11. 2018	800	290	290			
			3	ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა აჭარა-გურიის თასის I წრის გათამაშებაში 2007-2008წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის (ხელვაჩაური)	16 ივნისი		350	350			
			4	ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა აჭარა-გურიის თასის I წრის გათამაშებაში 2007-2008წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის (ქობულეთი)	არ ჩატარებულა		372	0			

N105	07.05.2018	5180	5	ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა აჭარა-გურიის თასის I წრის გათამაშებაში 2007-2008წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის (ლანჩხუთი)	10 მაისი	2516	438	438	4215.09	31.12.2018	შპს ჯიჯო 13
			6	ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა აჭარა-გურიის თასის I წრის გათამაშებაში 2007-2008წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის (გონიო)	15 მაისი		350	350			
			7	ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა აჭარა-გურიის თასის II წრის გათამაშებაში 2007-2008წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის (ბათუმი)	20 მაისი		350	350			
			8	ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მონაწილეობა აჭარა-გურიის თასის II წრის გათამაშებაში 2007-2008წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის (ოზურგეთი)	არ ჩატარებულა		427	0			
			9	,,სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2018"-ის დასავლეთ საქართველოს ზონალურ თამაშზე მუნიციპალიტეტიდან გამარჯვებული გუნდის მომსახურების ორგანიზება	7-8 მაისი	4000 5260 4970	1135	969.1			
N131	15.06.2018	5723.22	1	მაგიდის ჩოგბურთი. აბაშის ღია პირველობა	12-14 ოქტომბერი	1300	1161.7	1161.7	5723.22	31.01.2019	შპს ჯიჯო 13
			2	ქართული ჭიდაობა, ხოძრევას დავითაშის და გელა ხოიძის სახელობის ტურნირი	27 ივლისი	250	217.9	217.9			
			3	ლ. ხაბელოვის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა შორის	21-23 დეკემბერი	1950	1694	1694			
			4	ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2004-2005 წწ ამხანაგური შეხვედრა ბათუმის გუნდთან	28 ივლისი	2516	335	335			
			5	ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2004-2005 წწ ამხანაგური შეხვედრა ხელვაჩაურის გუნდთან	27 11 2018		335	335			
			6	ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2004-2005 წწ ამხანაგური შეხვედრა ხელვაჩაურის(გონიო) გუნდთან	20 ოქტომბერი		335	335			
			7	,,პაატა გარსევანიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი თელავის ღია ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში	15-17 ივნისი	2300 ლარი (გაუთვალის წინებული ხარჯებიდან	1644.62	1644.62			
N154	18.07.2018	5231.1	1	ამბროლაურის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში	21-23 ივლისი	1550	1381.7	1381.7	4892.1	31.12.2018	შპს ჯიჯო 13
			2	აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის	ივლისი-ოქტომბერ	1450	2399.4	2399.4			
			3	მოყვარულთა თასის 2018"-ის გათამაშებაში ქედის მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდის მონაწილეობა	ივლისი-ოქტომბერ	2400	1450	1450			

დანართიN№4

მონაცემები 2018 წელს ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით

ხელშეკრულების ნომერი	ხელშეკრულების გაფორმების დრო	ხელშეკრულების ღირებულება (ლარი)		ღონისძიების დასახელება	ღონისძიების ჩატარების დრო	პროგრამით გათვალისწინებული თანხები	ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები	ფაქტიურად ჩარიცხული თანხები	ხელშეკრულებით ფაქტიურად ჩარიცხული თანხა	ხელშეკრულების მოქმედების ვადა	მომწოდებლის დასახელება
N85	05.04.2018	6838.13	1	„სთრით არტი" ღონისძიების მომსახურების ორგანიზება	სექტემბერი-ნოემბერი	1500	1226.45	1226.45	6`838.13	31.12.2018	შპს ჯიჯო 13
			2	აჭარის ჩემპიონატის ინტელექტუალურ თამაში რა? სად? როდის?მუნიციპალიტეტშიგამარჯვებული გუნდების (I,II,III) მონაწილეობის მომსახურების უზრუნველყოფა.	09 06 2018	400	334.8	334.8			
			3	ქ.ბათილისში „ინტელექტის დღე 2018"-ში მუნიციპალიტეტში გამარჯვებული საჯარო სკოლის გუნდის მომსახურება	ოქტომბერი	1300	1242	1242			
			4	ტრენინგ-სემინარი ახალგაზრდებისათვის	12 დეკემბერი	400	297	297			
			5	კითხვის კონკურსი ინგლისურ ენაში		1500	1242	1242			
			6	„შეიცანი საქართველოს" ფარგლებში ახალგაზრდების ექსკურსია დასავლეთ საქართველოში	13 სექტემბერი	1550	1235.52	1235.52			
N170	09.08.2018	1440.54	1	ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე	12 აგვისტო	1700	1440.54	1440.54	1440.54	08.10.2018	ლევან აბესლამიძე
N220	12.10.2018	1166.5	1	ლაშქრობის მოწყობა სხვადასხვა ადგილებში	08 11 2018	1000	742.5	742.5	1166.5	31.12.2018	ლევან აბესლამიძე
			2	მე-8 საერთაშორისო აგრო-სასურსათო პროდუქციისა და ტექნოლოგიების გამოფენა-გაყიდვა „AGRO BATUMI 2018"	კულტურის პროგრამიდან		424	424			

დანართი №6

მონაცემები
კულტურული ღონისძიებების ჩატარების თაობაზე

ხელშეკრულების ნომერი	ხელშეკრულების დადების დრო	ხელშეკრულების ღირებულება (ლარი)		ღონისძიების დასახელება	ღონისძიების ჩატარების დრო	პროგრამით გათვალისწინებული თანხები	ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები	ფაქტიურად ჩარიცხული თანხები	ხელშეკრულების მოქმედების ვადა	მომწოდებლის დასახელება	ჩარიცხული თანხის ოდენობა (ლარი)	შენიშვნა
51	28/02/2018	7832.97	1	დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	მარტი (კვირეული)	3000	2541	2541	31/12/18	შპს "ზენდიდი 2015"	7832.97	
			2	9 აპრილი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე	9 აპრილი	600	474.1	474.1				
			3	სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა	აპრილი მაისი	2200	1830.99	1830.99				
			4	9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღე	9 მაისი	600	489.5	489.5				
			5	8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება	8 აგვისტო	169	121	121				
			6	დაუნისა და აუტიზმის საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებთან დაკავშირებული მომსახურება	21 მარტი 2 აპრილი	546	461.45	461.45				ღონისძიება გავიდა - ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა
			7	ქ. თბილისში დედის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლასთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ „ჩანგის" მონაწილეობის მომსახურების ორგანიზება	3 მარტი	2260	1914.93	1914.93				ღონისძიება გავიდა - მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლების, გუნდებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობა ადგილობრივ, საერთაშორისო და სხვადასხვა ღონისძიებებში
85	5/4/2018	6838.13	1	აღდგომის ბრწინვალე დღესასწაულთან დაკავშირებული მომსახურება	აპრილი	959	786.24	758.16	31/12/18	შპს "ჯიჯი 13"	1260.36	ღონისძიება გავიდა - ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა
			2	ბაირამის დღესთან დაკავშირებული მომსახურება	15 ივნისი	662	508.68	502.2				ღონისძიება გავიდა - ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა
106	7/5/2018	6190.25	1	ქედის მუნიციპალიტეტის მასწავლებელთა მეორე მუნიციპალური კონფერენციის ჩატარება	10 ივნისი	2995	2995	2537.7	31/12/18	ი/მ "რევაზ გვარიშვილი"	6190.25	ღონისძიება განხორციელდა გაუთვალისწინებელი ღონისძიებებიდან
			2	საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „ექსპო ბათუმი" მონაწილეობა	11,12,13 მაისი	2315	2315	1959.1				ღონისძიება გავიდა - ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა
			3	26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე	26 მაისი	2000	2000	1693.45				

130	14/06/2018	5715.12	1	ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალ „არტგენი"-ში მონაწილეობა	ივლისი	2840	2840	2406.67	31/12/18	შპს "ზენდიდი 2015"	3821.85	ღონისძიება გავიდა - მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლების, გუნდებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობა ადგილობრივ, საერთაშორისო და სხვადასხვა ღონისძიებებში
			2	ქ. ბათუმში, სასულიერო და ფოლკლორული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალში ანსამბლების მონაწილეობა	ოქტომერ-ნოემბერში	1210	1210	1025.37	31/12/18			ღონისძიება გავიდა - მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლების, გუნდებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობა ადგილობრივ, საერთაშორისო და სხვადასხვა ღონისძიებებში
			3	ეტალონი ფინალურ თამაშში მონაწილე მოსწავლის მონაწილეობასთან დაკავშირებული მომსახურება	ივნისი	2235	2235	1894.06	31/12/18			
			4	საჯარო ლექცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით	14 ივნისი	460	460	389.81	31/12/18			ღონისძიება გავიდა - ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა
შრომის ანაზღაურების მუხლით ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 148960 ლარის ასიგნება, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 8000 ლარით მეტია. საკასო შესრულებამ შეადგინა 166708.9 ლარი, ანუ გეგმაზე 11,9%-ით მეტი, რაც გამოწვეული იყო საშტატო ერთეულის გაზრდით. (საშტატო ერთეული გაიზარდა ოთხი ერთეულით).

საქონელი და მომსახურეობის მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 296060 ლარი (რაც წინა წლის მაჩვენებელს 112620 ლარით აღემატება), გაწეულმა საკასო ხარჯმა კი 283331,6 ლარი, ანუ გეგმის 95,7% შეადგინა.

_ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე გახარჯულია 21600 ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს 19600 ლარით აღემატება.

_ სამივლინებო ხარჯმა 90 ლარი შეადგინა.

_ საკანცელარიო საქონლის შეძენამ 711 ლარი შეადგინა.

_ კომპიუტერული ტექნიკის შეძენაზე დაიხარჯა 460 ლარი.

_ საოფისე ინვენტარის შეძენა დამონტაჟებაზე 610 ლარი.

_ კავშირგაბმულობის მომსახურებაზე გაიხარჯა 1963,11 ლარი, (რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარეით 809,47 ლარით მეტია).

_ საფოსტო მომსახურებაზე გაიხარჯა 15,5 ლარი.

_ გარე განათების ხარჯმა 56975,28 ლარი შეადგენა, (რაც წინა წლის მაჩვენებელზე 10824,05 ლარით მეტია).

_ ნარჩენების გატანაზე გახარჯულია 3057 ლარი.

_ ელექტრო ენერგიის დაერთების ხარჯმა 4000 ლარი შეადგინა.

_ შეძენილ იქნა დეზინფექციის საშუალებები 3133,32 ლარის.

_ სამეურნეო საქონელის შეძენაზე 12082,51 ლარი დაიხარჯა.

_ ელექტრო საქონელზე გაიხარჯა 8238 ლარი.

_ საპირფარეშოების აქსესუარების შეძენაზე გახარჯული იქნა 1789,28 ლარი.

_ უნიფორმის შეძენაზე გაიხარჯა 5226 ლარი.

_ ცხოველების გაუნებელყოფისათვის გახარჯულია 3975 ლარი.

_ ავტომანქნის მიმდინარე რემონტზე გაიხარჯა 19567 ლარი.

_ ტრანსპორტის საწვავის შეძენისათვის დახარჯულია 115917,7 ლარი, (რაც წინა წლის მაჩვენებელს 42864,8 ლარით აღემატება). ნაწილობრივ საწვავის ხარჯის გაზრდა ორგანიზაციაში გამოწვეულია ერთი ნაგავმზიდისა და ერთი ერთეული ფორდის მარკის ავტომანქნის მატებით.

_ სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლით გაწეულია 23921,99 ლარი.

არაფინასური აქტივების ზრდაზე დაიხარჯა 14700 ლარი, (რაც წინა წლის მაჩვენებელზე 9800 ლარით მეტია), კერძოდ შეძენილ იქნა ერთი ერთეული სატვირთო ავტომანქანა 14700 ლარის ღირებულების.

2) აუდიტის მიზნები: ბიუჯეტის თანხების მიზნობრიობის დადგენა და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა კანონმდებლობასთან.

ა) საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დაცულობისა და საკადრო პოლიტიკის მდგომარეობა

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ს 2017 წლის 1 მარტის მდგომარეობით დამტკიცებული ქონდა 37 საშტატო ერთეული, თვიური სახელფასო ფონდი 11830 ლარით და ორი შტატგარეშე მომუშავე თვიური სახელფასო ფონდი 500 ლარით, 2017 წლის განმავლობაში მუშა-მომსახურეთა მიმართ დარიცხულმა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 140101 ლარი, მათ შორის ტექნიკური პერსონალისათვის სარგოს სახით დარიცხულია 138101 ლარი, შტატგარეშე მომუშავე პირებისათის 2000 ლარი.

2018 წელს წინა წელთან შედარებით შტატების რაოდენობა გაიზარდა 8 ერთეულით და შეადგინა 45 კაცი, მათი თვიური სახელფასო ფონდი შეადგენდა 15380 ლარს, ასევე 13 ერთეულით გაზარდეს შტატგარეშე მომუშავეთა რიცხვი, რამაც შეადგინა 15 კაცი, მათი თვიური სახელფასო ფონდი გაიზარდა 4100 ლარამდე. თანამშრომელთა გაზრდა ხელმძღვანელობის განმარტებით გამოწვეული იქნა მახუნცეთის ტერიტორიაზე საშტატო ერთეულის დამატებით და შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორი სატრანსპორტო საშუალების გადაცემით.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ რა წესით იქნა შერჩული თანამშრომლები, ამასთან, ახალ ვაკანტურ ადგილებზე არ მოხდა კონკურსის გზით შერჩევა, აღნიშნული წესით შეიძლებოდა კვალიფიციური კადრების სამუშაოზე აყვანა და არ იქნებოდა რისკის შემცველი.

(საშტატო ნუსხა, ხელფასის თვიური განაკვეთის ერთად დანართი №1-ის თანახმად თან ერთვის.)

ბ) საინვენტარიზაციო აღწერილობა

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორის 2016 წლის 1 აგვისტოს №01-02/7 ბრძანებით შექმნილია საინვენტარიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავჯდომარე ვაჟა ბალაძე შ.პ.ს. „ქედის კომუნალურ სერვისი“-ს დირექტორის მოადგილე, კომისიის წევრებად მურმან სურმანიძე-მებაღე და ზურაბ დიასამიძე-ელ. მანტიორი.

2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით საინვენტარიზაციო კომისიის მიერ შექმნილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ს აქვს 462504.1 ლარის ექვსი სატრანსპორტო საშუალება, 1020 ლარის 1500 კ.მ. მიწის ნაკვეთი, 532,97 ლარის შენობა ნაგებობა, 21624,5 ლარის მოწყობილობა, 5970 ლარის საოფისე ინვენტარი, 5969,5 ლარის მცირეფასიანი ინვენტარი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის №605 ბრძანებით დამტკიცებულ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“-ს მე-5 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის შესაბამისად სავალდებულოა ინვენტარიზაციის ჩატარების დროს, საინვენტარიზაციო კომისია შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან, რითაც დარღვეულია აღნიშნული ბრძანების მოთხოვნა, ასევე, მონიტორინგით დადგინდა, რომ საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ჩატარებულ ინვენტარიზაციის მასალებში არ არის მითითებული მატერიალურ ფასეულობების ადგილმდებარეობა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირი.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბალანსზე რიცხული 1500 კვადრატული მეტრი მიწის ფართი და მასზე დამაგრებული სადურგლო საამქრო მდებარეობს ყოფილი ქედის სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე. სადურგლო საამქროს გამოყენება ხდება ფიზიკური პირების მიერ, რომლებთანაც არავითარი ხელშეკრულება არაა გაფორმებული, მაშინ როცა რეკომენდირებულია, რომ შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-მა იჯარით გასცეს ქონება და მიიღოს დამატებითი შემოსავალი.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბალანსზე ერიცხება ადმინისტრაციული შენობა ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 532,97 ლარის, რომელიც დაკავებული აქვს მოქალაქეს და უკვე მრავალი წელია იყენებს საცხოვრებლად. გამომდინარე იქედან, რომ შენობის ფართი შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ უფუნქციოდაა დარჩენილი და ვერ იყენებს, რეკომენდირებულია კანონმდებლობის დაცვით გასხვისდეს.

ამჟამად შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ დაკავებული ფართი, რომელსაც ის ადმინისტრაციული საქმიანობისათვის იყენებს, არაა გადაცემული ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსიდან შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბალანსზე, რაც უნდა განახორციელოს მუნიციპალიტეტის ქონების მართვის განყოფილებამ შესაბამისი კანონმებლობის გათვალისწინებით.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორის 2017 წლის 4 იანვარს №01-02/3 ბრძანებით შექმნილია დაზიანებული საქონლის ჩამომწერი კომისია, რომლის მეშვეობითაც ჩამოიწერა 15805,69 ლარის ღირებულების გამოუყენებული და დაზიანებული საქონელი, მაგრამ არაა შედგენილი აქტი გამოსაყენებლად უვარგის მატერიალურ მარაგებზე, რომელშიც მიეთითება ექსპლუატაციაში ყოფნის დრო,

გაცვეთის მიზეზი, სამეურნეო საჭიროებისათვის შემდგომში მათი გამოყენების შესაძლებლობები და სხვა.

აღნიშნული ქმედება ხელმძღვანელობის მხრიდან რისკის შემცველია.

რაც შეეხება ბუღალტრულ დოკუმენტების არსებობას, ისინი ინახება ბუღალტერთან, მაგრამ არაა დანომრილი.

მიზანშეწონილია შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორმა ყოველწლიურად თავისი სამართლებრივი აქტით განაახლოს საინვენტარიზაციო კომისიის შემადგენლობა, კომისიების მიერ შექმნილი აქტები განიხილოს პარტნიორთა კრებაზე.

გ) ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის მონიტორინგი

2017-2018 წლების განმავლობაში სათადარიგო ნაწილების შეძენისათვის დახარჯულია შესაბამისად 21095,5-19567 ლარი, ხოლო საწვავის შესაძენად 73052,9-115917,7 ლარი.

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ს მიერ ავტომანქანებზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოები და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი 2018 წელთან შედარებით 2017 წელს შემცირებულია, მაგრამ სარემონტო და სათადარიგო ნაწილებზე გახარჯული თანხები კვლავ დიდია.

2018 წლის 3 იანვრის შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორის №01-02/1 ბრძანებით დამტკიცებულია ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული ავტომანქანებზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტი, კერძოდ:

1) HONDA სახ. ნომრით FH878HF თვიური ლიმიტი შეადგენს 900 ლიტრ ბენზინს.
2) პეჟო ავტომანქანა სახ. ნომრით CCO-848 თვიური ლიმიტი შეადგენს 300 ლიტრ დიზელს.
3) ბელორუსის ტრაქტორი სახ. ნომრით BS-016 შეადგენს საათში 13 ლიტრ დიზელს.
4) ნაგავმზიდი MANI QQ-836-DD-ის ყოველთვიური ლიმიტია 1500 ლიტრი დიზელია.
5) FORDI სახ. ნომ. UY858YU-ის ყოველთვიური ლიმიტია 150 ლიტრი დიზელი.
6) ბელარუსი BS-095-S ჯისიპის საწვავის ლიმიტი გადაადგილების დროს შეადგენს 9,9 ლიტრს, ხოლო მუშა მდგომარეობის დროს 14,5 ლიტრს საათში.
7) MERSEDES BENS UU-797-PP -ის ყოველთვიური ლიმიტია 1500 ლიტრია.

გახარჯული საწვავის შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართ №2-ში.

აღნიშნული მონაცემებით ჩანს, რომ ყოველთვიურად საშუალოდ იხარჯება 900 ლიტრი ბენზინი და 3696 ლიტრი დიზელის საწვავი, შესაბამისად 10304 ლარისა, რისი მოხმარებაც მაღალია და ვთვლით, რომ აღნიშნული უკონტროლობისა და არაეფექტიანად ხარჯვაზე მიგვანიშნებს, იმიტომაც, რომ უმრავლეს შემთხვევაში საგზურებში არის მითითებული ერთი და იგივე სამოძრაო მარშრუტი.

სამ ავტომანქანაზე 1. MERSEDES BENS UU-797-PP-ზე 2. ნაგავმზიდი MANI QQ-836-DD-ზე 3. FORDI სახ. ნომ. UY858YU -ზე დამონტაჟებულია აგაი სისტემა, ხოლო დანარჩენ ავტომანქანებზე დასამონტაჟებელია აგაი სისტემა, რაც კონტროლისათვის უკეთეს პირობებს შექმნის. საწვავის ხარჯვის ჩამოწერისათვის ბუღალტერიაში ინახება დოკუმენტები, რომელშიც მოცემულია ავტომანქნის დასახელება, საწვავის ხარჯვის ოდენობა, მარშუტი, დრო, და გავლილი კილომეტრობა ან ნამუშევარი საათების რაოდენობა. აღნიშნული წესით საწვავის ხარჯვა რისკის შემცველია, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბალანსზე რიცხული ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე მწლის 1 აგვისტომდე დამონტაჟდეს „აგაი“ სისტემა.

დ) სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგი

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ს სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე ატვირთული აქვს 2017 წლის შესყიდვების წლიური გეგმა, წლიური გეგმით გათვალისწინებულია ერთი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და თექვსმეტი გამარტივებული შესყიდვა, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 67170 ლარს, ასევე გეგმით მოცემულია შესასყიდი საქონლისა და მომსახურების სიპივი კოდები (CPV), რომლის შესაბამისადაც უნდა მომხდარიყო შესყიდვა.

2017-2018 წლებში შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“ შესყიდვების მიზნით სულ 110 ხელშეკრულება აქვს დადებული, სხვადასხვა პირებთან, მონაცემები იხილეთ დანართ №3-ში.

წინა აუდიტორული შემოწმების დროს ჩვენს მიერ მიცემულ იქნა რეკომენდაცია სახელმწიფო შესყიდვების ხელოვნურად დაყოფის ფაქტების შესახებ, რომ შემდგომში არ განმეორებულიყო, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ არ გამოსწორებულა და მიმდინარე 2019 წელსაც შეინიშნება ფაქტები, კერძოდ:

№56(CMR190009098) და №33(CMR190115629) ხელშეკრულებებით-გამარტივებული შესყიდვის საშუალებებით განხორციელდა 90500000 დანაყოფის კოდით გათვალისწინებული შესაბამისი შესყიდვები ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებით 7750 (4000+3750) ლარი, რაც წინააღმდეგობაში მოდის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნასთან, რომლის თანახმად შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ ისინი ფინასდება ერთი წყაროდან, გარდა ამ მუხლის 3^1 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის საშუალებების იმ მონეტარული ზღვრებისთვის თავის არიდების მიზნით, რომლებიც დადგენილია ამ კანონით.

მონიტორინგით დადგინდა, რომ 2018-2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში, გათვალისწინებულ თითქმის ყველა შესყიდვაზე შესყიდვის საფუძვლად

მითითებულია „გადაუდებელი აუცილებლობა“, რაც გაურკვეველია და მომავალში საჭიროებს კორექტირებას და შესაბამისი საფუძლის მითითებას.

№22(CMR190087963) ხელშეკრულება CMR მოდულის შესაბამის გვერდზე ატვირთულია დაგვიანებით (დადებულია 27.03.2019 წელს, ატვირთულია 02.05.2019 წელს) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარტივებული შესყიდვის ან კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე დადებული ხელსეკრულება, ან ამ ხელშეკრულების ცვლილების ამსახველი დოკუმენტის ასლი რეგისტრირდება CMR-ში ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულების ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში, ხელშეკრულების შესრულებისშეუსრულებლობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე ვალდებულია ატვირთოს ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასახოს საბოლოო ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია და მიანიჭოს ხელშეკრულებას შესაბამისი სტატუსი. აღნიშნული შენიშვნა ეხება №13(CMR190106953) და სხვა ხელშეკრულებებს.

№22(CMR19008763), №23(CMR190084384) და სხვა ხელშეკრულებების, (რომელიც დადებულია 2018 წლის 7 მარტიდან) შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის შესაბამის გვერდზე არ არის ატვირთული მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე და ხელშეკრულების შესრულების კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი ფიზიკური პირების ხელწერილები ინტერესთა კომფლიქტის არარსებობის შესახებ. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მას შემდეგ, რაც ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის ცნობილი გახდება პრეტენდენტის ან მიმწოდებლის ვინაობა, იგი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტსო თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის „მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ სისტემაში იტვირთება ხელშეკრულებასთან ერთად. ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში იტვირთება ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

ამასთან უნდა გაცნობოთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული

„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ძალაში შევიდა 2018 წლის 7 მარტიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება №5 საფუძველზე, რაც მომავალი შესყიდვების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს.

2017 წელს შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ის მიერ შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 89855 ლარის შესყიდვების განხორციელება მაშინ, როცა დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება შეადგენს 167317,5 ლარს, ანუ 77462,5 ლარით მეტი, ასეთივე მდგომარეობაა 2018 წელსაც.

მონიტორინგით გაირკვა, რომ 2017 წელს შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ის მიერ დადებული 57 ხელშეკრულებიდან მხოლოდ 25 ხელშეკრულებაში აქვს ასახული სიპივი 8 ნიშნა კოდი (CPV), რომელიც არის შესყიდვის ობიექტის იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის საშუალება, ხოლო მისი არ ასახვა ხელშეკრულებაში წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის დარღვევას, რაც მაღალი რისკის შემცველია, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017-2018 წლებში გამარტივებული შესყიდვის გზით დადებული არცერთ ხელშეკრულება და მიღებაჩაბარების აქტი არაა ატვირთლი შესყიდვების ვებგვერდზე, რაც კანონმდებლობის უხეში დარღვევაა.

ე) ბიუჯეტის თანხების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგი

ა) 2017-2018 წლების განმავლობაში საპირფარეშოების აქსესუარების შეძენაზე გაწეულია შესაბამისად 2001.6-1789.3 ლარის ხარჯი, თუმცა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპირფარეშოებში აქსესუარების ნაკლებობა შეინიშნება და ზოგიერთ შემთხვევაში საპირფარეშოები მოუწესრიგებელი და დაულაგებელიც კი იყო. მაშინ, როცა 14 საპირფარეშოს ყავს დამლაგებელი და ყოველთვიურად ღებულობენ ხელფასს დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისად.

მ/წლის 17 ივნისს მახუნცეთის ტერიტორიაზე არსებულ ორ საპირფარეშოში მომსახურება ფასიანია, რაც შეადგენს ერთ კაცზე 50 თეთრს. ივნისის თვეში 13 დღეზე საპირფარეშოებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 499 ლარი.

არსებული წესის შემოღება შეიძლებოდა გასულ წელსაც და ბიუჯეტის შემოსავლებიც გაიზრდებოდა.

ბ) ცხოველების გაუნებელყოფისათვის 2017-2018 წლებში დაიხარჯა 3975-3975 ლარი, თუმცა რაიონის მთელ ტერიტორიაზე კვლავ შეინიშნება მაწანწალა ძაღლებისა და კატების რაოდენობის ზრდა.

გ) ქუჩების განათებისათის 2017 წელს დაიხარჯა 46151 ლარი, ხოლო 2018 წელს 10824 ლარით მეტი და 56975 ლარი შეადგინა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრო სისტემაში ცვალებადი დენის გამო და სხვა მიზეზებითაც მწყობრიდან გამოდის ელ.

ნათურები და მათ შეძენაზე 2017 წელს დაიხარჯა 9300 ლარი, ხოლო 2018 წელს კი 8238 ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაზიანებული ელ. ნათურების შეცვლას შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ხელმძღვანელობა ზოგიერთ შემთხვევაში დროულად ვერ ახერხებს.

დ) ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების მონიტორინგი

შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ხელმძღვანელობას თავისი წესდებიდან გამომდინარე უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა მიუხედავათ იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-სტრაქტორის გაქირავებით მიღებული აქვს 3241,12 ლარი და 2018 წელს კი 1650 ლარი, ,აშინ, როცა მას გააჩნდა ერთი ბორბლებიანი ტრაქტორი, ერთი ექსკავატორი და არ ქონდა განსაზღვრული საწყისი საიჯარო ღირებულება თვეზე და დღიურად გაანგარიშებული.

ამჟამად, მოიწვია კერძო აუდიტი და დაადგინეს მოძრავი ქონების საწყისი საიჯარო ღირებულება, აღნიშნული შეფასების მონაცემები იხ. დანართ№4-ით.

2017-2018 წლებში შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს მიერ ტექნიკის გამოყენება უმრავლეს შემთხვევაში ხდებოდა მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად, რომლებზეც მოთხოვნას აკეთებდა შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები მოხსენებითი ბარათის მეშვეობით, სამუშაოების დაწყბამდე რწმუნებულთან ერთად მოწმდებოდა შესასრულებელი სამუშაოების ადგილები, იგეგმებოდა სამუშაოების ჩატარების პროცესები და ამის შემდეგ ხდებოდა სამუშაოების შესრულება, შესრულებულ სამუსაოებზე დგებოდა დოკუმენტაცია, რომელსაც ხელს აწერდა შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის რწმუნებული და შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს წამომადგენელი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამუშაოების შესრულება მოხდეს თანადაფინანსების გზით. არსებული წესი შემუშავებული იქნას ერთობლივად: შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვის“-ის ხელმძღვანელობისა და მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ.

2017-2018 წლებში ტექნიკის გაქირავებით მიღებული შემოსავალი ძალიან მწირეა, მაშინ როცა არსებულ ტექნიკის მომსახურებაზე მოთხოვნა მაღალია ბაზარზე და შეიძლება წლიურად სოლიდური შემოსავლების მიღება, ამიტომ ორგანიზაციამ უნდა

იზრუნოს სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით გაზარდოს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავლები. ამასთან მონაწილეობა მიიღოს გამოცხადებულ სხვადასხვა კომერციულ საქმიანობაში.

ობიექტზე გაცემულ იქნა შემდეგი რეკომენდაცია:

1. შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს დირექტორმა:

_ მიმდინარე წლის 01 სექტემბრამდე უზრუნველყოს ორგანიზაციის წესდების პროექტის მომზადება და მუნიციპალიტეტის მერთან წარდგენა მისი დამტკიცების მიზნით.

_ ორგანიზაციის ბიუჯეტი ისე დაიგეგმოს, რომ ყოველკვარტალურად არ მოხდეს მასში ცვლილებების შეტანა.

_ კადრების შერჩევის დროს მოხდეს საზოგადოების ინფორმირება და სამუშაოდ დაინტერესებულ პირებისათის თანაბარი პირობების შექმნა.

_ დაიცვას საქართველოს ფინანსთა მინისტრის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“-ს მოთხოვნები.

_ სატენდერო კომისიის მიერ მკაცრად დაცული იქნას შესყიდვების ჩატარების პროცედურები და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად განახორციელოს შესყიდვები.

_ უზრუნველყოს ბალანსზე არსებული მიწის ფართისა და მასზე დამაგრებული სადურგლო საამქროს იჯარით გაცემა და საკუთარი ქონებიდან შემოსავლის მიღება.

_ ბალანსზე რიცხული გამოუენებელი ადმინისტრაციული შენობის გასხვისების საკითხი განიხილოს პარტნიორთა კრებაზე, შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

_ ყოველთვიურად მოახდინოს საწვავის ინვენტარიზაცია და მისი ჩამოწერა უზრუნველყოს გარბენილი კილომეტრების მიხედვით, ამასთან მიმდინარე წლის 01 აგვისტომდე ყველა სატრანსპორტო საშუალებაზე დამონტაჟებული იქნას „აგაი“ სისტემა.

_ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ტექნიკის მოვლა ექსპლუატაციის ხარჯების ეკონომიურ ხარჯვას.

_ მიიღოს ყველა ზომა ცხოველების გაუნებელყოფისათვის და მუშაობა ისე წარმართოს, რომ მინიმუმამდე შეამციროს მაწანწალა (ძაღლები, კატები) ცხოველების რაოდენობა.

_ მკაცრ კონტროლზე აიყვანოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული კვანძების მოწესრიგების საქმე.

_ მიმდინარე წლის 01 სექტემბრამდე პარტნიორთან შეთანხმებით შემუშავებული იქნას წესი ავტო ტრანსპორტის გამოწენებასთან დაკავშირებით.

2. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების განყოფილების მიერ მომზადებულ იქნას დოკუმენტაცია, შ.პ.ს. „ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბალანსზე შენობის იმ ფართის გადაცემაზე, რომელსაც ორგანიზაცია ამჟამად ადმინისტრაციული საქმიანობის შესასრულებლად იყენებს.

დანართი №1

დამტკიცებული საშტატო ნუსხა და თანამშრომელთა სახელობითი სია

თანამდებობა	სახელი გვარი	საშტატო ერთეული	თანამდეობრი სარგო
ადმინისტრაციული პერსონალი			
დირექტორი	მალხაზი სურმანიძე	1	1000
მოადგილე	ვაჟა ბალაძე	1	600
ბუღალტერი	აბდულ ვაშაყმაძე	1	600
ტექ.ზედამხედველი	ნესტან ბერიძე	1	350
იურისტი	ნესტან დიასამიძე	1	450
საწყობის გამგე	ირაკლი ხაბაზი	1	450
სპეციალისტი შესყდ	მანონი სურმანიძე	1	450
დამლაგებელი ადმი	ნესტან ჩხიკვაძე	1	300
		8	4200
ტურისტული ზონების მომსახურების განყოფილება			
განყოფილების უფროსი მახუ/ერთ	ზაალ ბერიძე	1	600
მთავარი სპეციალისტი მახუ/ერთ	როლანდი ცინცაძე	1	400
მთავარი სპეციალისტი მახუ/ერთ	მერი ვარშანიძე	1	400
მთავარი სპეციალისტი მახუ/ერთ	ჯამბულ ირემაძე	1	400
		4	1800
ტექნიკური პერსონალი			
მეეზოვე	ლამარა ბერიძე	1	400
მეეზოვე	მაია გორგაძე	1	250
მეეზოვე	დათიკო აბულაძე	1	250
მეეზოვე	ვახტანგ გორგაძე	1	400
მეეზოვე	გურამ ვერძაძე	1	250
მეზოვე	ადემ თებიძე	1	250
მებაღე	ჯუმბერ მახარაძე	1	300
მებაღე	გოჩა აბულაძე	1	300
მებაღე	მურმან სურმანიძე	1	300
მებაღე	გოჩა თურმანიძე	1	300
მებარღე მახუნცეთში	ირმა ხაბაძე	1	200
ელ.მანტიორი	ზურაბი დიასამიძე	1	400
ელ.მანტიორი	ნუკრი ბერიძე	1	350
ელ.შემდუღებელი	ლევან ნაკაშიძე	1	250
მძღოლი	ვალერი გოგიტიძე	1	300
მძღოლი	იაშა ნაკაშიძე	1	500
მძღოლი	ამირან გათენაძე	1	500
მძღოლ მექანიზატორი	ზვიად ჯაბნიძე	1	250
მძღოლ მექანიზატორი	მერაბ ჯაბნიძე	1	500
ოპერატორი	ბეგლარ ძნელაძე	1	400
ოპერატორი	არჩილ მახარაძე	1	400
ოპერატორი	ახმედ ბერიძე	1	400

ოპერატორი	არჩილ პეტრიძე	1	400
		23	7850
საზოგადოებრივი საპირფარეშოების დამლაგებელი			
დამლაგებელი საპ	დარეჯან დუმბაძე	1	100
დამლაგებელი საპ	მაია გორგაძე	1	100
დამლაგებელი საპ	ნონა ფარტენაძე	1	100
დამლაგებელი საპ	მაკა ბერიძე	1	100
დამლაგებელი საპ	ჯემალ არძენაძე	1	100
დამლაგებელი საპ	ნაზიკო თურმანიძე	1	100
დამლაგებელი საპ	ბადრი ვერძაძე	1	100
დამლაგებელი საპ	ისმაილ თებიძე	1	250
დამლაგებელი საპ	მედეა მახარაძე	1	350
დამლაგებელი საპ	ნანი მახარაძე	1	230
		10	1530
შტატგარეშე			
მრეცხავი	მანუჩარ დიასამიძე	1	250
მეეზოვე	თამაზ კურცხალიძე	1	250
მეეზოვე	გიორგი თურმანიძე	1	250
მეველე	ნიკო დიასამიძე	1	250
ბრიგადირი	შახზადე აბულაძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	300
ადმინისტრატორი	დავით ტაკიძე	1	300
ავტოსადგომის მორიგე	ზურაბ შერვაშიძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	250
ავტოსადგომის მორიგე	ეთერ ზაქარიაძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	250
ავტოსადგომის მორიგე	ლევან ნიგალძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	250
ავტოსადგომის მორიგე	გიორგი ხაბაძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	250
საპირფარეშოს დამლაგებელი	მზია შავაძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	300
საპირფარეშოს დამლაგებელი	მარინე თავდგირიძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	300
საპირფარეშოს დამლაგებელი	დარიკო ხაბაძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	300
საპირფარეშოს დამლაგებელი	ლია მახარაძე (მუშაობს 2019 წლიდან)	1	300
მძღოლი (სატვირთო)	ელგუჯა ბაჯელიძე	1	300
		15	4100
სულ ჯამი საშტატო		45	15380
სულ ჯამი შტატგარეშე თანამშრომლების		15	4100
სულ ჯამი		60	19480

დირექტორი მ. სურმანიძე

ბუღალტერი გ. მახაჭაძე

დანართი №2

2018 წლის განმარტული საწვავის შესახებ მონაცემები

	იანვარი		თებერვალი		მარტი		აპრილი		მაისი		ივნისი		ივლისი		აგვისტო		სექტემბერი		ოქტომბერი		ნოემბერი		დეკემბერი	
	თანხა(ლარი)	საწვავი(ლიტრი)	თანხა(ლარი)	საწვავი(ლიტრი)	თანხა(ლარი)	საწვავი(ლიტრი)	თანხა(ლარი)	საწვავი(ლიტრი)	თანხა(ლარი)	საწვავი(ლიტრი)	თანხა(ლარი)	საწვავი(ლიტრი)	თანხა(ლარი)	საწვავი(ლიტრი)	თანხა(ლარი)	საწვავი(ლიტრი)	თანხა(ლარი)	საწვავი(ლიტრი)	თანხა(ლარი)	საწვავი(ლიტრი)	თანხა(ლარი)	საწვავი(ლიტრი)	თანხა(ლარი)	საწვავი(ლიტრი)
ჰიუნდაი CCO-848 (დიზელი)	113.4	54	482.89	229.95	419.89	200	537.2	262	609.9	308	660	300	669	300	669	300	684	300	711	300	402.78	169.95	678	300
MERSEDES_BENS UU-797-PP (დიზელი)	2436.76	1330.8	2161.44	1010.02	2596.94	1247.02	2471.48	1266	1880.95	866.9	2589.12	1044	2792	1116.8	1621.87	643.6	1442.7	630	2888	1178.8	2233.48	882.8	2066.68	883.2
ბენზინი BS-095-S ჯიპი (დიზელი)	2488.37	1185	2731.97	1490	3134.45	1529	3218.32	1570	3573.8	1670	3748.56	1705	3623.46	1624.87	3222.18	1444.92	2834.56	1175	3850.94	1624.87	4811	2030	282.04	124.8
ბენზინი BS-016 (დიზელი)	850.66	435	313.95	149.5	0	0	257.17	150	0	0	0	0	0	0	512.83	230	774.49	340	651.63	274.95	0	0	3141.33	1389.97
ხიუნდა ელანტრა FH-878-HF (ბენზინი)	1953	900	1953	900	1953	900	1861.02	882	1899	900	1964.7	885.2	1991.25	885	1991.5	900	2025	900	2070	900	2106	900	2160	900
ნიგვზიხიდი MANI QQ-836-DD (დიზელი)	0	0	0	0	0	0	0	0	2829.6	1304	2973.56	1199.02	2952	1180	3699.36	1468	2172.75	949	2136.4	872	2228.42	881	2154.67	920.8
ფორდი UY85EYU(დიზელი)	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	273.5	120	236.97	100	226	100	0	0
ჯამი	7842.19	3904.8	7643.25	3779.47	8104.28	3876.02	8345.19	4130	10793.25	5048.9	11935.94	5133.22	12027.71	5106.67	11716.74	4986.52	10207	4414	12544.94	5250.62	12007.68	4963.75	10482.72	4518.77

დირექტორი
ზურაბ ბერიძე

გასინჯა
ა. ბერიძე



დანართი №3

2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

N	შესყიდული საქონლის ან მომსახურების დასახელება	შესყიდვის საშუალება	მიმწოდებლის დასახელება	ხელშეკრულება				კატეგორიის/ქვეკატეგორიის კოდიCPV
				№	თარიღი	დასრულების ვადა	თანხა	
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	1	03.01.2017	31.01.2017	1402.5	
2	ნარჩენების გატანა	გამარტივებული შესყიდვა	შპს. „სანდასუფთავება“	2	03.01.2017	31.12.2017	2900	90500000
3	საკანცელარიო საქონლის შეძენა	გამარტივებული შესყიდვა	შპს „კანცბუმი“	3	03.01.2017	31.12.2017	2000	22800000 30100000
4	კომპიუტერული ტექნიკის და მისი აქსესუარების შეძენა	გამარტივებული შესყიდვა	შპს „ალფა+“	4	03.01.2017	31.12.2017	2000	30200000
5	ჰიგიენური აქსესუარების მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „თურსა“	5	03.01.2017	31.12.2016	3000	
6	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	შპა „აისი“	6	03.01.2017	31.12.2016	5000	
7	საპოხ-საცხები მასალები	გამარტივებული შესყიდვა	შპს „ფლამინგო ჯორჯია“	7	09.01.2017	31.12.2017	3000	
8	ტექნიკის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „პარტნიორი 2012“	8	13.01.2017	31.12.2017	100	
9	სატელეკომუნიკაციო მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	სს „სილქნეტი“	9	13.01.2017	31.12.2017	300	64200000
10	საფოსტო საკურიერო მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „საქართველოს ფოსტა“	10	16.01.2017	31.12.2017	100	64100000
11	გასანათებელი მოწყობილობის მოწოდება	გამარტივებული ელექტრონული შესყიდვა	შპს „დ.ბ“	11	23.01.2017	31.12.2017	9300	31500000
12	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	12	02.02.2017	30.02.2017	1462.5	
13	სპეც.ტანსაცმელის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	შპს „უნიფორმა პლუსი“	13	9.02.2017	31.12.2017	2000	18400000
14	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“	14	09.02.2017	31.12.2017	12000	CON160000061
15	იზოლირებული მავთულის მოჭოდება	გამარტივებული შესყიდვა	სს „საქვაბელი“	15	10.02.2017	31.12.2017	1000	31300000
16	სამეურნეო საქონლის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შპს NEW TECHNICS	16	24.02.2017	31.12.2017	2000	39200000
17	სამეურნეო საქონლის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „ნიუიმპექსი“	17	24.02.2017	31.12.2017	3000	
18	სამეურნეო საქონლის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შპს GEOTUR XXI	18	24.02.2017	31.12.2017	2000	90917000
19	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	19	01.03.2017	31.03.2017	2808	
20	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	შპს რომპეტროლ საქართველო	20	01.03.2017	31.12.2017	19600	CON160000059

21	ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში სანაგვე კონტეინერების განლაგების მომსახურეობა. ავტომანქანა გაზ 53 ა სახელმწიფო N-- NON544.	გამარტივებული შესყიდვა	ფ/პ სულიკო ბერიძე	21	06.03.2017	31.03.2017	1700	6010000
22	ნაგავშემკრები მანქანის საწვავშემრევი კატალიზატორ SGR Adblue მოწოდება.	გამარტივებული შესყიდვა	შპს ურბან მოტორსი	22	07.03.2017	31.12.2017	1000	
23	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეტანა ნაგავსაყრელზე	გამარტივებული შესყიდვა	შპს „ აჯაროლლუ“	23	07.03.2017	31.01.2018		9050000
24	GPS-ის დამონტაჟება	გამარტივებული შესყიდვა	ფ/პ გალაქტიონ პაშკოვი	24	09.03.2017	31.12.2017	800	72500000
25	მაწანწალა ცხოველების გაუნებელყოფა	გამარტივებული შესყიდვა	შპს „GEBER“	25	14.03.2017	31.12.2017	4000	
26	საოფისე აქსესუარების მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	ი/მეწარმე მაყვალა ბოლქვაძე	26	14.03.2017	31.12.2017	200	
27	ავტომანქანის სააუქციონო შეფასება	გამარტივებული შესყიდვა	შპს ექსპერტი XXI	27	20.03.2017	31.12.2017	100	
28	საოფისე ინვენტარისმოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	ი/მეწარმე რომან დიასამიძე	28	20.03.2017	31.12.2017	1000	
29	სატელეფონო მომსახურება	კონსოლიდირებული ტენდრი	შპს „მაგთიკომი“	29	29.03.2017	01.03.2018	1000	CON170000034
30	სამეურნეო საქონლის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „გაჩი-ნათი“	30	31.03.2017	31.12.2017	1000	
31	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ [illegible]“	31	31.03.2017	30.04.2017	1582.5	
32	ავტო- ტექ მოსახურეობა (ორგანიზაციაში არსებული ტექნიკის სარემონტო სამუშაობების შესრულება).	გამარტივებული შესყიდვა	ი/მეწარმე რამინ საკანდელიძე	32	03.04.2017	31.12.2017	3500	
33	აუქციონის გამოცხადება	გამარტივებული შესყიდვა	შპს გაზეთი აჭარა და ადჟარა	33	03.04.2017	31.12.2017	100	
34	პოლიგრაფ სერვისის მომსახურეობა (სტიკერების დამზადება)	გამარტივებული შესყიდვა	ინდ/მეწარმე ირმა ბურჭულაძე	34	12.04.2018	31.12.2017	1000	
35	ნაგავშემკრები მანქანის შეკეთება	გამარტივებული შესყიდვა	შპს ურბან მოტორსი	35	18.04.2017	31.03.2019	10000	50100000
36	საოფისე ინვენტარის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „მარიამი 2010“	36	18.04.2017	31.12.2017	350	44613200
37	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	შპს ,,სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“	37	21.04.2017	31.12.2017	28320	CON160000061
38	საპირფარეშოების კარ ფანჯრის ეკეთება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „ველა“	38	21.04.2017	31.12.2017	800	44221000
39	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	39	01.05.2017	31.05.2017	1560	

40	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეტანა ნაგავსაყრელზე	გამარტივებული შესყიდვა	შპს „სერვისი 2016	40	08.05.2017	31.12.2017		90500000
41	ავტომანქანის დაქირავება	გამარტივებული შესყიდვა	ფიზ/პირი ზურაბ დიასამიძე	41	08.05.2017	31.12.2017	1200	
42	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	43	29.05.2017	30.06.2017	1560	
43	ავტომანქანის სათაარიგო ნაწილების მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	ინდ/მეწარმებაგრატ ცეცხლაძე	44	26.06.2017	31.06.2017	3000	34300000
44	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	45	29.06.2017	31.07.2017	1624	
45	მავთულბადის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „გილდა	46	18.07.2017	31.12.2017	1000	44313100
46	სამეურნეო საქონლის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შპს ლუკა-2014	47	24.07.2017	31.12.2017	1000	39300000 39100000 39700000
47	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	48	31.07.2017	31.08.2017	1600	
48	გენერატორი შემადუღებელი და მანქნის სარეცხი (კერხერი) შეძენა.	გამარტივებული შესყიდვა	შპს ჯიჯო 13	49	04.08.2017	31.12.2017	4900	31130000 42924730
49	მაღალი გამავლობია ა/მანქანის შეძენა	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	ფ/პირი მამუკა ზოიძე	50	24.08.2017	15.08.2017	7200	NAT170009508
50	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	51	29.08.2017	30.09.2017	1600	
51	ავტო-ტექმომსახურეობა	გამარტივებული შესყიდვა	შპს მიგა	52	29.08.2017	31.12.2017	700	50100000
52	სტუმრების გამასპინძლება	გამარტივებული შესყიდვა	ინდ/მეწარმე რამაზი სამნიძე	53	29.08.2017	31.12.2017	1000	55500000
53	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	54	27.09.2017	30.10.2017	1600	
54	ავტომანქანის საბურავის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „ლუკა მოტორსი“	55	27.09.2017	31.12.2017	220	34351100
55	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	56	30.10.2017	31.11.2017	1632	
56	საწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	57	28.11.2017	31.12.2017	1696	
57	სამფაზიანი ამომრთველის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შპს ლუკა-2014	58	30.11.2017	31.12.2017	2800	31153000
							167317.5	

დირექტორი ბ. სამნიძე
ბუღალტერი ნ. მახვილაძე



დანართი №3

2018 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

N	შესყიდული საქონლის ან მომსახურების დასახელება	შესყიდვის საშუალება	მიმწოდებლის დასახელება	ხელშეკრულება				კატეგორიის/ქვეკატეგორიის კოდი
				№	ფასი	დბაც	დღგ	
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	სწვავის შესყიდვა	კონსოლიდირებული ტენდერი	შპს როზეტროლ საქართველო	1	25.12.2017	31.12.2018	50760	CON170000070
2	სწვავის შესყიდვა	კონსოლიდირებული ტენდერი	შპს „ხოკარ ჯორჯია პეტროლიუმი	2	25.12.2017	31.12.2018	51360	CON170000071
3	სწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვითოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	3	29.12.2017	10.01.2018	1953	
4	საბურავის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შპს ლუკა მოტორსი	4	03.01.2018	31.12.2018	1000	34351100
5	საკანცელარიო საქონლის შეძენა	გამარტივებული შესყიდვა	შპს „კანცბუმი“	5	03.01.2018	31.12.2018	2000	22800000 30100000
6	ნარჩენების გატანა	გამარტივებული შესყიდვა	შპს. „ხერვითი 2016“	6	03.01.2018	31.12.2018	3000	90500000
7	პიეზოელექტრონული აქსესუარების მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „ოურხა“	7	05.01.2018	31.12.2018	4800	33700000
8	კომპიუტერული ტექნიკის რემონტი	გამარტივებული შესყიდვა	ფ/პ გალაქტიონ პაპკოვი	8	05.01.2018	31.12.2018	1000	72500000
9	ავტოტექ. მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „ურბან მოტორსი“	9	05.01.2018	31.12.2018	4500	50100000
10	სატელეკომუნიკაციო მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	სს „სილქნეტი“	10	05.01.2018	31.12.2018	300	64200000
11	ავტოტექ. მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „მოგა“	11	05.01.2018	31.12.2018	4000	50100000
12	სამეურნეო საქონელი	გამარტივებული შესყიდვა	შპს „ლუკა 2014“	12	05.01.2018	31.12.2018	4200	39300000.3910000.39700000
13	იზოლირებული მავთულის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	სს ხაქკაბელი	13	10.01.2018	31.12.2018	1500	31300000
14	სპეც.ტანსაცმელის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	შპს „უნივორმა პლუსი“	14	10.01.2018	31.12.2018	4800	18400000
15	საფოსტო მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „საქართველოს ფოსტა“	15	12.01.2018	31.12.2018	100	64100000
16	სამეურნეო საქონელი	გამარტივებული შესყიდვა	შპს „ნიუმპექსი	16	15.01.2018	31.12.2019	4500	39300000.3910000.39700000
17	სამეურნეო საქონელი	გამარტივებული შესყიდვა	შპს „გაჩი-ნათი“	17	15.01.2018	31.12.2018	2000	39300000
18	GPS-ის მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „GPS ოპერატორი“	18	17.01.2018	31.12.2018	120	
19	სამეურნეო საქონლის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შპს NEW TECHNICS	19	17.01.2018	31.12.2018	1000	39200000
20	მაწანწალა ცხოველების გაურებელყოფა	გამარტივებული შესყიდვა	შპს „GEBER“	20	17.01.2018	31.12.2018	4000	85200000
21	საპოხ-საცხებლი მასალები	გამარტივებული შესყიდვა	შპს „ფლამინგო ჯორჯია“	21	17.01.2019	31.12.20118	1000	
22	სწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვითოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	22	29.01.2018	15.02.2018	1953	
23	გასანათებელი მოწყობილობა	ტენდერი	შპს „ხოლიდე“	23	06.02.2018	31.12.2018	9644	31500000
24	ტრაქტორის დამხმარე მასალები	გამარტივებული შესყიდვა	შპს „ხახმოტორსი“	24	12.02.2018	31.12.2018	4800	9210000
25	სწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვითოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	25	26.02.2018	15.03.2018	1953	09100000
26	სატელეკომუნიკაციო მომსახურება	კონსოლიდირებული ტენდერი	შპს „მაგთიკომი“	26	02.03.2018	31.01.2019	3800	con170000114
27	მძიმე ტექნიკის საბურავი	ტენდერი	შპს უნივერსალ გრუპი	27	02.03.2018	08.05.2018	3556	NAT180002531
28	საღებავის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შ.პ.ს პარტნიორები xxi	28	9.03.2018	31.12.2018	2000	24224000
29	ავტომანქანის პარკირება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“	29	15.03.2018	31.12.2018	365	98300000
30	საბურავის მოწტაჟი	გამარტივებული შესყიდვა	შპს დემე	30	15.03.2018	31.12.2018	200	50110000
31	მძიმე ტექნიკის საბურავი	ტენდერი	შპს თეგეტა მოტორსი	31	20.03.2018	10.05.2018	4320	NAT180002802
32	სწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვითოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	32	30.03.2018	18.04.2018	1899	09100000
33	ნაგავმზიდი ავტომანქანის და ურნების დეზინფექცია	გამარტივებული შესყიდვა	შპს შერვაში	33	02.04.2018	31.12.2018	4700	90670000
34	სწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვითოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	34	26.04.2018	30.042018	1899	09100000
35	სწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვითოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	35	01.05.2018	15.05.2018	1899	09100000
36	სპეც.ტანსაცმელის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	შპს „უნივორმა პლუსი“	36	15.05.2018	31.12.2018	1000	18400000
37	სწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვითოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	37	28.05.2018	11.06.2018	1899	
38	ავტოტექ. მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „თეგეტა მოტორსი“	38	07.06.2018	31.12.2018	4900	50100000
39	სწვავის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	სს „ვითოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	39	28.05.2018	12.07.2018	2025	09100000
40	ტრაქტორის დამხმარე მასალები	გამარტივებული შესყიდვა	შპს „ხახმოტორსი“	40	29.06.2018	31 12.2014	4000	9210000

41	სატრანსპორტო საშუალების მოწყობა	კონსოლიდირებული	შპს „თეგეტა მოტორსი"	41	06.07.2018	31.12.2018	380	34300000
42	სარეკლამო შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	ხს „ვიხილე პეტროლიუმ ჯორჯია"	42	01.08.2018	16.12.2018	2025	09100000
43	ავტომანქანის ტექნიკური დათვალიერების	გამარტივებული შესყიდვა	„დიაგნოსტიკა აჭარა"	43	01.08.2018	31.12.2018	320	71600000 71630000
44	ხატვირთო ავტომანქანის შეძენა	ტენდერი	შპს კმხს	44	07.08.2018	30.09.2018	14700	NAT180011100
45	სარეკლამო შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	ხს „ვიხილე პეტროლიუმ ჯორჯია"	45	27.08.2018	14.09.2018	2025	09100000
46	სატრანსპორტო საშუალების მოწყობა	გამარტივებული შესყიდვა	შპს „თურა მოტორსი"	46	04.09.2018	31.12.2018	2600	343511002
47	სარეკლამო შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	ხს „ვიხილე პეტროლიუმ ჯორჯია"	47	27.09.2018	15.10.2018	2070	
48	სამეურნეო საქონლის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	ი/მ მურმან ოთარი მახარაძე	48	10.10.2018	31.10.2018	1000	39300000, 39100000
49	სარეკლამო შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	ხს „ვიხილე პეტროლიუმ ჯორჯია"	49	30.10.2018	15.11.2018	2106	
50	საოფისე ინვენტარის მოწოდება	გამარტივებული შესყიდვა	შპს „ხეფა"	50	6.11.2018	31.12.2018	1600	30100000
51	სარეკლამო შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	ხს „ვიხილე პეტროლიუმ ჯორჯია"	51	27.11.2018	10.12.2018	2160	
52	სატრანსპორტო საშუალების მოწყობა	კონსოლიდირებული	შპს „თეგეტა მოტორსი"	52	03.12.2018	31.12.2018	520	34300000
53	სატრანსპორტო საშუალების მოწყობა	კონსოლიდირებული	შპს „თეგეტა მოტორსი"	53	03.12.2018	31.12.2018	800	34300000
ჯამი							237011	

დირექტორი ი. ხურმანიძე

ბუღალტერი გ. მახაჭაძე



შპს "დანი-აუდიტი"
DANI - AUDIT LTD

№ 02/2-68

"14" "ივნისი" 2019 წელი

ცალკეული დასახელების მოძრავი ქონების საწყისი საიჯარო ღირებულების დადგენა

ქონების მესაკუთრე:

შპს ,,ქედის კომუნალურსერვისი" (ს/კ 246761213)

დამკვეთი
შპს ,,ქედის კომუნალურსერვისი" (ს/კ 246761213)

ქ. ბათუმი
2019

შპს „ქედის კომუნალურსერვისს“ (ს/კ 246761213) და შპს „დანი-აუდიტს“ შორის 2019 წლის 30 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება N 28-ის თანახმად, შპს “დანი-აუდიტი”-ს შემფასებელმა ჯემალ ძნელაძემ განახორციელა შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს (ს/კ 246761213) მიერ წარმოდგენილი ცალკეული დასახელების მოძრავი ქონების ინსპექტირება და და საწყისი საიჯარო ღირებულების განსაზღვრა..

შპს „ქედის კომუნალურსერვის“-ს (ს/კ 246761213) მიერ საწყისი საიჯარო ღირებულების განსასაზღვრავად წარმოდგენილი მოძრავი ქონებების საწყისი საიჯარო ღირებულება თვეში შეფასების თარიღისთვის განისაზღვრა:

1, ბორბლებიანნი ტრაქტორი - საწყისი საიჯარო ღირებულება განისაზღვრა:

დღე - 340 (სამასორმოცი) ლარით;

თვე - 2380 (ორიათას სამასოთხმოცი) ლარით.

წლიური საწყისი საიჯარო ქირა არ უნდა იყოს 4350 (ოთხიათას სამასორმოცდაათი) ლარზე ნაკლები.

2, ექსკავატორი - საწყისი საიჯარო ღირებულება განისაზღვრა:

დღე - 210 (ორას ათი)) ლარით

თვე - 2730 (ორიათას შვიდასოცდაათი) ლარით.

წლიური საწყისი საიჯარო ქირა არ უნდა იყოს 9 950 (ცხრაათას ცხრაასორმოცდაათი) ლარზე ნაკლები.

შენიშვნა: 1, საწყის საიჯარო ქირა მოიცავს მემანქანის (ოპერატორის) ხელფასს (საწვავის ხარჯის გარეშე).

2, შესაფასებელი მექანიზაციის საშუალებების მუშაორის რეჟიმიდან გამომდინარე (ფაქტიურად ნამუშევერი დღეები) შესაძლებელია გადაიხედოს საწყისი საიჯარო ღირებულება.

მოძრავი ქონებების საწყისი საიჯარო ღირებულებების განსაზღვრისაღვის განხორციელებული ანალიზი მოცემულია ანგარიშის შესაბამის ნაწილებში. მოძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრა ეფუძნება შემფასებლის პროფესიულ ცოდნას და გამოცდილებას.

წარმოდგენილი შეფასება შესრულებულია საქმის ცოდნით და უდიდესი პასუხისმგებლობით, ქონების შეფასების საერთაშორისო კომიტეტის “შეფასების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად და საქართველოში მოქმედი შესაბამისი ნორმატიული აქტების სრული დაცვით.

პატივისცემით,
შპს დანი–აუდიტი“–ს დირექტორი
შემფასებელი ჯემალ ძნელაძე

1. ძირითადი ფაქტებისა და შედეგების მოკლე მიმოხილვა

დამკვეთი: შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ (ს/კ 246761213)

შემფასებელი: შპს „დანი-აუდიტი“ (ს/კ 245427550).

შემფასებლის რეკვიზიტები: ქ. ბათუმი ანდრონიკაშვილის ქ N 45,; ს/კ 245427550.

შეფასების საფუძველი: მხარეთა შორის 30,05,2019 წ გაფორმებული ხელშეკრულება N 28;

შეფასების ობიექტი: შპს „ქედის კომუნალურსერვისი“ -ს (ს/კ 246761213) საკუთრებაში არსებული მექანიზაციის საშუალებები.

ინსპექტირების (ინფორმაციის მოპოვების) დრო: 2019 წლის 1 ივნისიდან 2019 წლის 12 ივნისი.

შეფასების ანგარიშის შედგენის თარიღი: 2019 წლის 13 ივნისი.

შეფასების თარიღი 2019 წლის 13 ივნისი.

შეფასების მიზანი: საწყისი საიჯარო ღირებულების განსაზღვრა;

შეფასების ბაზა: სტანდარტი 101 „ სამუშაოს მასშტაბები“, სტანდარტი– 102 გამოკვლევები და შესაბამისობაა“, სტანდარტი–103 „ანგარიშის მომზადება“ და სტანდარტი– 300 მანქანა-მოწყობილობები და დანადგარები“.

ღირებულების სახე– საწყისი საიჯარო ღირებულება.

შეფასების მეთოდი– საბაზრო (გაყიდვების შედარების) მეთოდი.

2. შეფასების ხარისხის სერთიფიკატი

წინამდებარე ანგარიშზე ხელმომწერი შემფასებელი ადასტურებს, რომ არსებული მონაცემების შესაბამისად:

- ანგარიშში მოცემული ფაქტები შეესაბამება რეალობას.
- ანგარიშში მოცემული ანალიზი, შეხედულებები და დასკვნები ეკუთვნის შემფასებელს და მოქმედია მხოლოდ იმ შემზღუდავი პირობებისა და დაშვებების ფარგლებში, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ანგარიშის შემადგენელ ნაწილს.
- შემფასებელს არც ამჟამად და არც მომავლისათვის არ გააჩნია რაიმე ინტერესი შესაფასებელი ობიექტის ღირებულების სიდიდის მიმართ და მოქმედებს მიუკერძოებლად.
- შემფასებლის ანაზღაურება არაა დამოკიდებული შეფასებული ობიექტის საბოლოო ღირებულებაზე, აგრეთვე იმ მოვლენებზე და შედეგებზე, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს დამკვეთის ან მესამე პირების მიერ წინამდებარე ანგარიშის გამოყენებამ.
- შეფასების ანგარიში მოიცავს შემფასებლის პროფესიონალურ აზრს შესაფასებელ ღირებულებასთან მიმართებაში კონკრეტული თარიღისათვის და არ შეიძლება ჩაითვალოს გარანტიად იმისა, რომ აღნიშნული ღირებულება შემდგომში არ განიცდის ცვლილებას.
- ხელშეკრულების პირობების თანახმად, შეფასება მოხდა დამკვეთის მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე და შესაბამისად შემფასებლებს უშუალოდ ადგილზე არ მოუხდენიათ შესაფასებელი ობიექტის ინსპექტირება.

3. მონაცემები შეფასებაში მონაწილე პირთა შესახებ

ჯემალ ძნელაძე – შპს „დანი-აუდიტი“-ს დირექტორი. სერტიფიცირებული შემფასებელი. დაბადებული 1956 წელს.

–თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი

საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტი - ქონების შემფასებელი;

სერტიფიკატები

სერტიფიცირებული აუდიტორი - სარეგისტრაციო N SARAS-A-801109

უძრავი ქონების შემფასებლის სერტიფიკატი N 036;

მოძრავიი ქონების შემფასებლის სერტიფიკატი N 036/მ;

არამატერიალური აქტივების შემფასებლის სერტიფიკატი N 036/ა

ეკონომიკური საქმიანობის სფეროში მუშაობის გამოცდილება–40 წელი.

აუდიტური საქმიანობის სფეროში მუშაობის გამოცდილება– 22 წელი.
შეფასებითი სამუშაოების განხორციელების გამოცდილება - 8 წელი.

4. ძირითადი შემზღუდავი პირობები და დაშვებები

ისევე როგორც ნებისმიერ შეფასებას, მოცემულ შეფასების პროცესსაც თან ახლდა შემზღუდავი პირობები და შემფასებლის მიერ გაკეთებული დაშვებები, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ანგარიშის განუყოფელ ნაწილს.

შეფასების პროცესის თანმხლები შეზღუდვები:

- შემფასებელმა ჩაატარებია შესაფასებელი ობიექტების ინსპექტირება.
- შემფასებელი ეყრდნობა დამკვეთის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, შესაბამისად შემფასებელი არ აგებს პასუხს მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე და შესაძლო ცდომილებაზე.

შეფასების პროცესის თანმხლები დაშვებები:

- წინამდებარე ანგარიში სარწმუნოა მხოლოდ სრული მოცულობის და მხოლოდ მასში მითითებული მიზნისათვის გამოყენების შემთხვევაში;
- შემფასებელი არ იღებს პასუხისმგებლობას შესაფასებელ ობიექტზე საკუთრების უფლების იურიდიულ აღწერასთან დაკავშირებით.
- სურათები, თუ ისინი მოყვანილია ანგარიშში, ითვლება მიახლოებითად. ისინი საჭიროა იმისათვის, რომ მომხმარებელს შეუქმნას თვალსაჩინო წარმოდგენა შესაფასებელ ქონებაზე და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას რაიმე სხვა მიზნებისათვის.
- შეფასების ჩატარების დროს იგულისხმებოდა რაიმე ფარული ფაქტორების არ არსებობა, რომლებსაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ შესაფასებელი ობიექტის საწყის საიჯარო ღირებულების განსაზღვრაზე. შემფასებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ასეთი ფაქტორების აღმოჩენაზე.
- შეფასების პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის სპეციალური იურიდიული ექსპერტიზა არ ჩატარებულა.
- შეფასების პროცესში გამოყებული ამოსავალი მონაცემები მიღებულია სარწმუნო წყაროებიდან და ითვლება სარწმუნოდ. მიუხედავად ამისა შემფასებელი გარანტიას არ იძლევა მათ აბსოლუტურ სიზუსტეზე, ამიტომ სადაც ეს შესაძლებელია, მითითება კეთდება ინფორმაციის წყაროზე.
- პროგნოზები, რომლებსაც შეიცავს ანგარიში, ეფუძნება მიმდინარე საბაზრო პირობებს და შესაძლო მოკლევადიან ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მოთხოვნა–მიწოდების პროცესების ცვლილებაზე. ეს პროგნოზები დამოკიდებულია მოთხოვნა–მიწოდების ბაზარზე მომხდარ ცვლილებებზე.
- შემფასებლის აზრი შეფასების ობიექტის საიჯარო ღირებულებასთან დაკავშირებით მოქმედია მხოლოდ შეფასების დროისათვის. შემფასებელი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას ეკონომიკური, იურიდიული, ბუნებრივი და სხვა ფაქტორების ცვლილებებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ თარიღის შემდეგ და გავლენა იქონიოს საბაზრო სიტუაციაზე და შესაბამისად შესაფასებელი ობიექტის ღირებულებაზე.
- ჩვენ ვიყენებდით შეფასების საერთაშორისოდ აღიარებულ პროცედურებს . ჩვენ არ შეგვიძლია მოგცეთ გარანტია, რომ თანხის მიღებული სიდიდე ან შეფასებისას მიღებული დაშვებები არ იქნება გადასინჯული ან საკამათო მესამე მხარის მიერ.
- ანალოგებზე მონაცემები მოპოვებულია საგაზეთო გამოცემების, ინტერნეტის მეშვეობით, რაც გამოწვეულია იმით, რომ შეფასების პერიოდისთვის არ არსებობს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო, რომელსაც შეიძლება გააჩნდეს მოძრავი ქონების ბაზარზე არსებული სიტუაციის ზუსტი ან მიახლოვებითი სტატისტიკური მონაცემები.
- შემფასებელს არ ევალება სასამართლოში გამოცხადება ან სხვა ფორმით დამოწმება შედგენილ ანგარიშზე ან შესაფასებელ ობიექტზე, გარდა დამკვეთთან გაფორმებული ცალკე ხელშეკრულების ან სასამართლოს მიერ ოფიციალური გამოძახებისა.

- შემფასებელი აყენებს კონფიდენციალობის მოთხოვნას შეფასების მასალების მესამე პირებზე გადაცემაზე მისთვის წერილობითი შეტყობინების გარეშე. დადგენილი პროფესიონალური სტანდარტების შესაბამისად შემფასებელი. ასევე კონფიდენციალურად ინახავს შეფასების პროცესში მიღებულ ინფორმაციას.
- არც შემფასებელს და არც დამკვეთს უფლება არ აქვთ შეფასების შედეგები გამოიყენონ სხვა მიზნებისათვის, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისა.
- შეფასების ანგარიში გამოხატავს შემფასებლის პროფესიონალურ აზრს შესაფასებელი ქონების საწყისი საიჯარო ღირებულების მიმართ და არ ითვლება იმის გარანტიად, რომ შესაფასებელი ქონება გადაეცემა სხვა პირს ზუსტად იმ თანხით, რაც მითითებულია წინამდებარე ანგარიშში.

5. **შეფასების პროცესში გამოყენებული კანონები, ნორმატიული აქტები და სტანდარტები**

- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
- აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები;
- შეფასების საერთაშორისო სტანდარტები;

6. **ინფორმაციის წყაროები**

წინამდებარე სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ინფორმაციის მოძიება და შეკრება ხდებოდა სხვადასხვა არხებიდან და სხვადასხვა მონაცემთა ბაზებიდან. ისინი შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

–დამკვეთისაგან მიღებული ინფორმაცია;
პრესის და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებიდან მიღებული ინფორმაცია;
–სპეციალური ლიტერატურიდან მიღებული ინფორმაცია.
–ინტერნეტიდან მოპოვებული ინფორმაცია.
–საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მოპოვებული ინფორმაცია.

7. **შეფასების დანიშნულება**

დამკვეთისათვის სრული ინფორმაციის მიწოდება შესაფასებელი ქონების საწყისი საიჯარო ღირებულების შესახებ.

8. **შეფასების მეთოდიკა**

შეფასების საერთაშორისო სტანდარტების (IVS 2017) მიხედვით შეფასებისას უნდა დადგინდეს შესაფასებელი ქონების საბაზრო საიჯარო ქირა.

9. **ძირითადი განსაზღვრებები**

საბაზრო ღირებულება შეფასებითი (გაანგარიშებითი) თანხა, რომლითაც აქტივი უნდა გაიცვალოს (იჯარით გაიცეს) შეფასების თარიღისათვის, გარიგების მსურველ გამყიდველსა და მყიდველს შორის, სათანადო მარკეტინგული ღონისძიებების შემდეგ. „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით" დადებულ გარიგებაში, როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს შეგნებულად, წინდახედულად და ძალდაუტანებლად.

საბაზრო ღირებულების შეფასება არ ითვალისწინებს ფასის ზრდას ან შემცირებას ისეთი სპეციალური პირობების ან ვითარების გათვალისწინებით როგორიცაა: არატიპური დაფინანსება, ფასდაკლება, იჯარით უკან დაბრუნება და სხვა ნებისმიერი სპეციალური ღირებულების ელემენტი.

შეფასების მეთოდი შესაფასებელი ობიექტის ღირებულების გამოთვლის წესი (ხერხი) შეფასების ერთერთი მიდგომის ფარგლებში;
აქტივის ფასი - აქტივის შესაძენად მოთხოვნილი, შეთავაზებული ან გადახდილი თანხა, მოცემული მყიდველის ან გამყიდველის ფინანსური შესაძლებლობების, მოტივაციის ან სპეციფიკური ინტერესის გამო გადახდილი ფასი შეიძლება განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან, რომელსაც მოცემულ აქტივს სხვები ანიჭებენ;
ღირებულება - მოსაზრება– ყველაზე მეტად მოსალოდნელი ფასის შესახებ, რომელსაც აქტივში გადაიხდიან გაცვლის (იჯარით გაცემის) პროცესში, ან აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შესახებ (მათ შორის საიჯარო ქირით მიღებული ან ჰიპოთეზური შემოსავლების შესახებ);
გაუმჯობესება - შენობა, აღჭურვილობა ან მიწის ნაკვეთის ცვლილება, რომელსაც გააჩნია მუდმივი ხასიათი და დაკავშირებულია შრომით და კაპიტალურ დანახარჯებთან და მოწოდებულია აამაღლოს ქონების სარგებლიანობა და ღირებულება. გაუმჯობესებას გააჩნია გამოყენების სხვადასხვა მახასიათებლები და ეკონომიკური სიცოცხლის სხვადასხვა ვადა.
შეფასების პრინციპი - სარგებლიანობის (გამოსადეგობის) პრინციპი– ღირებულების ძირითად კრიტერიუმად მოიაზრებს მის სარგებლიანობას, ანუ შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ადამიანების ესა თუ ის მოთხოვნილება; ჩანაცვლების პრინციპის თანახმად, ფასი შეთავაზებულ (გაყიდულ) ობიექტზე არ აღემატება ანალოგიური სარგებლიანობის მქონე ობიექტის შეთავაზების (გარიგების) ფასებს და რომ გაცნობიერებული მყიდველი საბაზრო ღირებულების სხვა კონცეპტუალური საფუძვლების არსებობისას, მასში გადაიხდის ანალოგიური ფუნქციონალური ობიექტებისათვის ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასის მეტნაკლებად შესაბამის თანხას; მოლოდინის პრინციპი– ითვალისწინებს ქონების ფლობით მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოლოდინს; მოთხოვნა– მიწოდების პრინციპი– ნებისმიერი პროდუქციის ბაზარზე ფასები ყალიბდება მოთხოვნა–მიწოდების ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთზემოქმედებით; ცვლილების პრინციპი– ითვალისწინებს ფასებისა და ღირებულების დინამიკის ცვალებადობას დროის ფაქტორის შესაბამისად; გარე ფაქტორების ზემოქმედების პრინციპი– ეკონომიკური კრიზისი, დეპრესია, წარმოების ზრდა, ბუმი და სხვა სახის ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების გავლენა ობიექტის ღირებულებაზე.
